

სასახოვანო გუგუნი



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველთვიური ორგანო.
რედაქტორი სპ. კედია. წელიწადი მეორე-**N** 3 თებერვალი 1933 წ. პარიზი

LaSentinelle de Géorgie
ORGAN DU PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN
Directeur : Sp. KEDIA. 2^e ANNEE. N 3. FEVRIER 1933. PARIS.

თებერვალი.

საქართველოს დამოუკიდებლობა, შექმნილი რუსეთისა და დასავლეთი ევროპის ნება-სურვილის გარეშე, მაგრამ შეგნებულად მოსურვებელი, თავის სამხედრო მიზნების სასარგებლოდ, გერმანია-ავსტრია-ოსმალეთის მიერ, საერთაშორისო სასწორს თავისი საკუთარი სიმძიმით აწვევდა-

ამ მომხდარმა ფაქტმა საერთაშორისო განწყობილებას თანდათან ძალა დაატანა და საქართველო, ასი წლის ჩამქრალი არსებობის შემდეგ, კვლავ ხალხთა მესიერებას მოუვლინა, როგორც დამოუკიდებელი ერთი და იგი საერთაშორისო ოჯახის სწორუფლებიან წევრად გახადა.

პირველად დე ფაქტო საქართველო გერმანიამ იცნო 1918 წელს, 28 მაისს, ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების მესამე დღეს და შეუდგა, რუსეთთან შეთანხმების გზით, მის დე იურე სწობის მომზადებას.

1920 წელს იანვრის თერმეტს, ორი წლის ფაქტიური დამოუკიდებელი არსებობის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო იცნო ვერსალის საზავო კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ—საფრანგეთმა, ინგლისმა, იაპონიამ ბელგიამ და იტალიამ.

იმავ 1920 წელს მაისის შვიდს, საქართველო იცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დე იურე და მასთან ხელშეკრულება დასდო თვით რუსეთმა, მისმა გუშინ დელმა ბარტონმა და სულთამხუთავმა.

1921 წლის იანვრის ოცდა შვიდს, საქართველო უკვე დე იურე იცნო იმავე უმაღლესმა საბჭომ. ასევე დე იურე იგი იცნეს შემდეგმა სახელმწიფოებმაც: გერმანიამ პოლანეთმა, რუმინიამ, ლიუქსემბურგმა, ავსტრიამ, მექსიკამ, პანამამ, ჰაიტიმ, ოსმალეთმა, სიამმა, და ლიბერიაში...

ასეთი იყო თვით დამოუკიდებლობის ფაქტის ძალა.

ამ ფაქტმა მხოლოდ ოცდათორმეტი თვე იარსება.

უგუნური და კრიმინალური მმართველობა იყო ამ ეროვნული კატასტროფის მთავარი მიზეზი.

საქართველოში ჩადგა უცხო საოკუპაციო ხელისუფლება. მისი მამინ „დემოკრატიული“, ხოლო შემდეგ, ემიგრაციაში, „ეროვნული მთავრობა“ ევროპაში გაიხიზნა.

სანამ ევროპის სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ უდღერ სახელმწიფოებრივ შენობად მიაჩნდათ და მასთან დაკავშირებას არ ჩქარობდნენ, საქართველოს მომხდარა იურიდიული სწობა კანცელარიებში მაინც იყო დარჩენილი და თვლემდა.

რა წამს ეს ლოდინის პოლიტიკა დაირღვა და ევროპის სახელმწიფოთა შორის დიდი გაიმართა—თუ ვინ ვის გაასწობდა საბჭოთა კავშირის სწობაში და მასთან ურთიერთობის აღდგენაში, საქართველოს ეს დე იურე ცნობა ხან ერთს ადგილას აფეთქდებოდა და ხან მეორეს. ქართველი ერის დათრგუნული უფლების აღსადგენათ, ამ წმიდა იდეალისტური სულიკვეთების დასაკმაყოფილებლად, აბა თავს ვინ, ან რომელი ქვეყანა აიტყუებდა? ერების პოლიტიკას მართლ მათი რესპუბლიკური ნტერესი განაგებს.

პირველად მოგვმორდა ის, ვინც პირველად ჩვენთან მოვიდა და გვიცნო. ეს იყო გერმანია. ეს მოხდა 1922 წელს ნოემბრის ხუთს, როდესაც მასა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის შორის დამატებითი ხელშეკრულება იქმნა დადებული—რაპალოს ხელშეკრულების განსაგრძობით მოკავშირე რესპუბლიკებზე. ამის გამო სამდურავი უადგილოა. ჩვენ მსაჯულად არ ვვარგვიართ სხვისი ქვეყნის ეროვნული ინტერესის არც გასაგებათ და არც დასაფასებლათ. ცხადია, გერმანიას ეს უკარნახა მისმა ეროვნულმა ინტერესმა. ერთი დეტალი: ჩვენთან მოვიდა მონარქიული გერმანია და ჩვენზე ხელი აიღო დემოკრატიულ-რესპუბლიკანურმა გერმანიამ. მაგრამ ამ საკითხში ამ ორი გერმანიის სხვა და სხვაობას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს.

გერმანიის შემდეგ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა კანონიერ და უფლებრივ აქტად ინგლისმა აღიარა. ეს მოხდა 1924 წელს, თებერვლის რვას. ამ დროს ინგლისს სათავეში ედგა მუშათა პარტიის მთავრობა, ბ. რამზეი მაკდონალდის თავმჯდომარეობით. ინგლისის მაგალითზეც იგივე განმეორდა: გვიცნო ლიბერალურმა, ან უფრო კონსერვატიულმა ინგლისმა; გაგვიმეტა მუშურ-სოციალისტურმა ინგლისმა. და ეს იმის და მიუხედავად, რომ ბ-ნ რამზეი მაკდონალდს, როდესაც იგი ოპორტიუნისტად იდგა, თურმე საქართველო ძალიან უყვარდა, „როგორც სულისა და ხორცის განსასვენებელი ადგილი“ ამ პერიოდში იგი კონსერვატიულ მთავრობას საქართველოს გაილა უსაყვედურებდა შემდეგ: „ჩვენი მთავრობა არ იჩენს ინტერესს კაცობრიული თავისუფლების დიდი ცდათა მიმართ, იმ ძველ ისტორიულ ერების მიმართ, რომელნიც თავიანთ წარსულით ამყარებენ და თავის მხრივ თავგამოდებულნი არიან რომ ხელი შეუწიონ კაცობრიობის ბედნიერებას და პოლიტიკურ სიბრძნეს.“ და სხვას. ეს თეთრზე შავად დაწერილი თავისი სიტყვები ბ-ნ რამზეი მაკდონალდმა დაავიწყა, როდესაც იგი პარტიის და მეორე ინტერნაციონალის ლიდერის სავარძლიდან დიდი ბრიტანიის მთავრობის სავარძელში ჩაეშვა და საბჭოთა რუსეთის იურიდიული სწობა მოახდინა... აქაც სამდურავი უადგილოა. ალბათ, ეს ძალადობა თავისავე ნათქვამის მიმართ საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გაგებაში ჩაადგინა.

იმავ 1924 წელს, ინგლისზე ერთი დღით ადრე, თებერვლის შვიდს საბჭოთა რუსეთი იცნო და მისი უფლება საქართველოზე აღიარა იტალიის ახალმა ბელადმა ბ. ბენიტო მუსოლინიმ, პოლიტიკურად მაკდონალდის ანტიპოდმა. ესეც თავისებური ასპექტისაკუთარი ნაციონალური ინტერესის პრიორიტეტისა ყველა დანარჩენზე.

იყო ერთი გამონაკლისი. მოხდა საბჭოთა რუსეთის იურიდიული სწობა ერთი დიდი სახელმწიფოს მიერ, ისე რომ საქართველოს უფლება არ გაწირულა. ამ დროს ამ ქვეყანას მემარცხენეთა დაჯგუფება

*) იხ. სოციალისტური ინტერნაციონალი და საქართველო.

განაგებდა. ეს სახელმწიფო იყო საფრანგეთი და მის ამ აქტს ადგილი ჰქონდა იმავ 1924 წელს, ოქტომბრის ოცდარვას. ამ დღიდან მოყოლებული საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი არსებობის ერთადერთი თავშესაფარი საფრანგეთი იყო.

იყო და დღეს უკვე ესეც აღარ არის. „საფრანგეთის ელჩმა გრაფ დეჟანმა და ბკრესტიკსიმ, დროებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, მოსკოვში, ხუთმეტ ამ თებერვალს, 15 საათზე, ერთმანეთ შორის გასცვალეს რატიფიკაციები თავდაუსხმელობისა და საფრანგეთ-საბჭოთა შორის მორიგების კონვენციის პაქტისა, რომელიც ხელმოწერილი იყო პარიზში 1932 წელს 29 ნოემბრის. 29-ს-ს*]“

17 თებერვლის „ქურნალ ოფისელ“ ში გამოქვეყნებულია დეკრეტი, რომლის ძალით საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირ შორის დადებული თავდაუსხმელობის აქტი და კონვენცია მათი მორიგების პროცედურისა, სრულს აღსრულებაში შედიან.

ამგვარად, დაბოლოს საფრანგეთმაც, სხვების მზგავსად, იცნო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. აქაც სასაყვედურ არააფერია. საფრანგეთის ნაციონალური ინტერესთა გაგებაში და გათვალისწინებაში ასე უკარნახა მის დღევანდელს მემარცხენეთა მთავრობას...

მოისპო ფაქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა და მასთან ერთად მოისპო თვით ფაქტი და მნიშვნელობა მისი დე იურე სწობისა საზოგადოთ. ასეთია უღმობელი ობიექტიური კანონი ხალხთა ურთიერთობის ისტორიისა! ჩვენ ვუბრუნდებით ძველ მდგომარეობას, მაგრამ ერთი არსებითი განსხვავებით. საქართველოს ეროვნული სული დღეს უაღრესად გათვითცნობიერებულია და აქტიური. იგი ეძებს და იბრძვის ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. მეორეს მხრით, საერთაშორისო შეგნებაში ჯერ კიდევ სცოცხლობს მოგონება გუშინდელი დამოუკიდებელი საქართველოსი და ქართველი ერისა.

საქართველოს აწ უკვე დაკარგულ ფაქტიურ და იურიდიულ დამოუკიდებლობასთან ერთად მოკვდა და ოაიღუბა ის მმართველი თაობაც, რომელიც მას შინ და გარეთ გამოსახავდა, მაგრამ რომელსაც არასოდეს არ უმუშავნია დამოუკიდებლობის ფაქტის შესაქმნელად. ხოლო როდესაც ეს ფაქტი მისდა უნებურად მაინც დამყარდა, მან ყველაფერი გააკეთა, რომ იგი არარაობის სამყაროში გადაეკარგნა!

დღევანდელი ეროვნული თაობა, აღქურვილი ზემოდ აღნიშნული უპირატესობით, მუშაობს დამოუკიდებლობის ფაქტის ახალ დამყარებისათვის. რაცა ეს ფაქტი ხორცს შეისხამს, კვლავ დაიწყება მისი დე იურე სწობის სერია ძველსა და ახალ მდგომარეობას შორის განსხვავება ის იქნება, რომ ამ ახალ საქართველოს ახალ ბატონს ეყოფა ხასიათი და სული ეროვნული, ცოდნა. და გამოცდილება რომ იგი ეამთა დენაში უფლებელი შეინახოს, სწორ უფლებიანი წევრი კაცობრიობის დიდი ოჯახისა.

*) სწობა საფრანგეთის საგარეო სამინისტროს.

საბედისწერო

ხელმძღვანელობა.

ამა თებერვლის 25-ს თორმეტი წელიწადი შესრულდება, რაც გააფთრებული რუსეთი ჩვენ სამშობლოში შემოიჭრა და ცესხლითა და მახვილით ქვეყანა დაიკავა. მთელი მსოფლიოს წინაშე მოხდა ბოროტ მოქმედება, რომელზეც უდიდესი ისტორიაში არა ხდება. ერს, რომელმაც ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინად თავისი სახელმწიფო სხვარება შექმნა და საკუთარი ისტორიული გზა აიჩიზა; ერი, რომელიც დღიდან გაქრისტიანებისა მუდამ ფორპოსტი და მისიონერი იყო ქრისტიანული მორალისა და იგროპიული სივილიზაციის აღმოსავლეთში, გაშიშვლებული იმპერიალიზმის სხვერპლი შეიქმნა.

დიდია დანაშაული მსოფლიოს დღევანდელი გეგმონებისა, რომელთაც ჯერ საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიან წევრად გვიცნეს და შემდეგ არამსთუ შეიწყნარეს ეს აღმამფოთებული ბოროტმოქმედება. არამედ საქართველოს ბედ-იღბალი თავიანთი პოლიტიკური ვაჭრობის ობიექტად გახადეს თვით ბოროტების ჩამდენ მოსკოვთან.

მაგრამ ეს არის მხოლოდ ერთი მხარე ჩვენი ტრალედიისა, მხარე საგარეო, საერთაშორისო, რომელიც პირდაპირ დამოკიდებელი შედეგია მეორე შინაური მხარისა.

რად მოხდა, რომ 1921 წელს საქართველო ისეთი სუსტი აღმოჩნდა, რომ არამსთუ თავი ვერ დაიცვა მტრისაგან. არამედ მას ჯეროვანი წინააღმდეგობაც ვერ გაუწია? განა მას აკლდა მოსიყვარული, ერთგული, თავდადებული შვილები? რად მოხდა, ამ რომ ტრალეულ მომენტში საქართველო დარჩა მარტოხელი, გარიყული, სრულს იზოლიაციაში? ნუ თუ საერთაშორისო ასპარეზზე ისეთი ძალები არ არსებობდნენ, რომელთათვის ჩვენი დამოუკიდებლობა იყო საჭირო, სასარგებლო? განა მოულოდნელი იყო რუსეთის თავდასხმა საქართველოზე და მამასადამე, მმართველთათვის განა მავალდებულ არ იყო ქვეყნის ყოველმხრივი მომზადება ამ ხიფათის ასაცდენად? ვისი და რისი ბრალია, რომ ჩვენი თავი დღეს ჩვენ არ გვეკუთვნის და ჩვენი სამშობლო გადაქცეულია სხვათა მოედნათ? აი საკითხები, რომელთაც უნდა დაუფიქრდეს ყოველი ქართველი ამ შავი წლისთავის დღეებში.

დაწყებული დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი დღიდან ისტორიის გარეგნულათ აუხსნელმა ფოკუსმა, ქართველი ერის მეთაურობა ჩაუგდო ხელში იმ ხალხს ვინც დღიდან მოვლინებისა იწეოდა შეუჩერებელ მუშაობას საქართველოს წინააღმდეგ.

დღეს ეს ნონსენსია, მაგრამ ამ 15-დღე წლის წინად თვით სიტყვა ქართველი და საქართველო იყო დევნილი ამ ხალხისაგან. მოგახსენებთ რასაკვირველია მათ შესახებ, ვინც ჩვენ სხვარებაში სამართლიანათ არიან მონათლული „მენშევიკები“-ს სახელით და ვინც არამთუ მთელთათვის წარსულში იყვნენ რუსებზე მეტად რუსდბი და რუსულ ცენტრალიზმის იანიჩარები ს აერ



თოდ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, არამედ მაშინაც—კი, როდესაც განდენ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრებათ. განაგრძობდნენ რუს. სოს. დემ. პარტიის წევრობას.

სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსეთის დამარცხების შემდეგ, დიდ ომში ჩვენი დამოუკიდებლობის აღსაგენათ აუცილებელი გახდა მენშევიზმის დამარცხება საქართველოში.

დამარცხებული ინტერნაციონალურ, კოსმოპოლიტურ პოზიციებზე, მენშევიზმი გადავიდა ახალ, ეროვნულ პოზიციებზე. მაგრამ არა იმისათვის, რომ წრფელი გულითა და წმინდა სინდისით ემსახურა საქართველოსათვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ეხლა აქედან, ხან ახალი ხან ძველი გამოცდილი ფორმებით-განეგრძო მუშაობა თავისი ძველი მიზნების მისაღწევად.

მენშევიზმის მიზნები-კი იყო და დარჩა ქართული ეროვნული ინტერესებისა და საერთოდ საქართველოს გარეშე. მის ბედად ბნ. ქორდანისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის მიღება იყო იმავე რიგის მოვლენა, როგორც ბოლშევიზმის ბედად ლენინისათვის იყო „ნეკის“ მიღება, ე. ი. იძულებითი და დროებითი ტაქტიკური ნაბიჯი. არსებითად-კი ბნ. ქორდანია დარჩა იგივე. რაც იყო: მოსიქეული კოსმოპოლიტური ვიწრო კლასობრივი ინტერესებისა.

აი აქ, სწორედ აქ არის დამარცხებული ჩვენი ტრადიციის გასაღები; აქედან არის წარმოდგენილი წყარო ჩვენი სისუსტისა და იზოლიაციისა.

რომ ეს ყველასათვის ნათელი გახდეს საკმარისია გავიხსენოთ ზოგიერთი ნაბიჯი მისი და მისი დასის მოღვაწეობიდან-დავანებოთ თავი შორეულ წარსულს და ავიღოთ მხოლოდ დამოუკიდებლობის პერიოდი.

ჩაიგდო თუ არა ბნ-მა ქორდანია იფლებდა ხელში, იგი დაუყოვნებლივ შეუდგა „რევოლიუციის გარემოებას“ და ამისათვის გააჩაღა კლასობრივი ბრძოლა ყველა სოსხალი ეროვნული ძალების წინა აღმდეგ. რომ ეს ბრძოლა, თავიდანვე დევნათ გადაქცეული ყოფილიყო მკაცრი და დაუნდობელი მან ეროვნული ძალები კონტრევოლიუციონერებათ გამოაცხადა. და ეს ისეთ სახიფათო და საპასუხისმგებლო ხანაში, როგორც იყო საქართველოსათვის 1918—1921 წლები! განა დაშლა დაქსაქსვა ეროვნული ძალებისა და მათი ერთი მეორის წინა აღმდეგ დაპირდაპირება იყო საჭირო საქართველოს აღსადგენათ, აღსაშენებლათ გასამაგრებლათ?

მენშევიკურმა მთავრობამ ვერ შექმნა სახელმწიფო აპარატი და საქართველოს დამსკველი სამხედრო ძალა. რატომ? განა ქართველი ერის სამხედრო ღირსება საყოველთაოდ სწობილი არ არის, ან იმ რამდენსამე უმალეს პრივილეგიურ სასწავლებლებში, სადაც რუსეთის მთავრობა სახელმწიფოს უმალეს მოხელეებს ამზადებდა, განა პროფესორები არ აღნიშნავდნენ თავიანთ მსმენელთა წინაშე, რომ ქართველების დამახასიათებელ თვისებათა შორის ადმინისტრაციული ნიჭიც არის? სამხედრო საქმეს, და განა მხოლოდ სამხედრო საქმეს, „განაგებდა“ ეგრეთ ფაქტურათ წოდებული „წითელი გვარდია“ რომლის მეთაურობა შესდგებოდა შემთხვევითი და უპასუხისმგებლო ადამიანთაგან. მათ არ ჰქონდათ არაფერისაერთო სამხედრო საქმესთან და ზოგიერთ მათგანს თვით საქართველოსთანაც-კი. ხდებოდა ეს ამბები მხოლოდ იმდრო, რომ ბნ. ქორდანია და მისი დასი არ ენდობოდა სახელმწიფო მშენებლობისა და ქვეყნის დაცვისათვის მძიმე სადებულ და გამოსადილ, მაგრამ ეროვნულათ განწყობილი ვლემენტებს, არ ენდობოდნენ, ვინაიდან ისინი აშენებდნენ არა საქართველოს, არამედ რაღაც ახალი ტიპის პარტიულ, მენშევიკურ სახელმწიფოს.

ჩვენი იზოლიაცია იყო ნორმალური შედეგი იმ პოზიციისა, რომელიც ბნ-მა ქორდანია დაიკავა ერთი მხრივ ბოლშევიკური, სოსიალისტური რუსეთისადმი და მეორე მხრივ მთელ დანარჩენ „ბურჟუაზიულ“, „კაპიტალისტურ“ ქვეყნი-

რების მიმართ. პირველი პოზიცია გახლდათ პოზიცია დროებით დამდურებულის, მაგრამ გეგლის სიღრმეში მოსიყვარულე და ძველი მეგობრობის აღდგენის მოტივითაღებული, ხოლო მეორე იყო პოზიცია მოპირდაპირისა, მტრული დამყარებული „ბოლშევიკების“ მეგობარ მეორე ინტერნაციონალზე.

ნურავინ იტყვის, რომ საქართველო პატარა არის და რუსეთი, სულ ერთაა, მოვიდოდო. განა ვერ შეინარჩუნეს თავიანთი დამოუკიდებლობა ესტანეთმა, ფინეთმა, ლიტვამ და ლატვიამ? ნურს იმას იტყვიან, რომ ამ სახელმწიფოთა შენახვაში დინტერესებული იყვნენ დიდი სახელმწიფოები. განა საქართველოს და საერთოდ ამეგრ-კავკასიის პრობლემა არ არის მრავალჯერ მეტად აქტუალური ყველა დიდ სახელმწიფოთათვის, ვიდრე ლატვიისა და ლიტვიისა! საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორის სისწრაფით და პირველი შეძლებისათავე მოგვევლინენ გერმანიის და ინგლისის ჯარები, საფრანგეთისა სამხედრო ფლოტი და იტალიის მისისა თვით ტანტის მემკვიდრის მეთაურობით. და ნურს იმას იტყვიან, რომ საქართველოს თავის დასაცავათ არ გააჩნდა საკმარისი ძალები. საქართველოს ჰყავდა 200 ათასზე მეტი გაწვრთნილი და ომში გამოცდილი პირველხარისისოვანი მეომარი შეადარეთ ამ ძალას დამარცხებული, დამოღობი და ანგორაში შედენილი ოსმალების ძალები, რომლებმაც ჯეროვანი ეროვნული ხელმძღვანელობის ქვეშ არამც, თუ აღადგინეს თავიანთი სახელმწიფოებრივი არსებობა, არამედ წარათვის იმავე რუსეთის ყარსის სიმაგრე და დიდი მიწა-წყალი.

ჩვენი დღევანდელი სავალალო მდგომარეობის დედა მიზეზი გახლავთ ის, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის ხანაში საქართველოს ხელმძღვანელობა ხელში ჩაიგდო ანტიეროვნულმა ძალამ ანტიეროვნული მიზნების მისაღწევად.

გრ. ცხაკაია

ერთ რუსულ კრებაზე.

რუსეთის რესპუბლიკანურ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ხელმძღვანელობამ გამართა ერთი, ჩვენთვის მეტად საყურადღებო, მოხსენება: „აგემები რუსეთის დასაყოფად“. საინტერესო იყო თვით მომხსენებლის პიროვნება, ბნ-ის ხარლამოვი, რომელიც მეფისნაცვლის როლს ასრულებდა კავკასიაში, რევოლუციის პირველ ხანებში.

მომხსენებელი დალაგებით შეეხო ყველა ერთსაგვარადაც მთლიანად საჭიროთა რუსეთის სივრცეზე. ისინი ზოგად ფორმებში ყველა ერთა ეროვნული უფლებები, ხოლო „სეპარატიზმი, ნაციონალიზმი და შოვინიზმი“ აღიარა როგორც გარედან შემოტანილი რუსეთის მტრთაგან განგებ შექმნილი მახინჯი საკუთარ ევოლუციურ მიზნებით, ვითომდა ეროვნული იდეად გასაღებელი. ყველაზე სერიოზულად და მძაფრად უკრაინული მოძრაობა მოიხსენია. მეტად დამაფიქრებლად მიიჩნია ყაზახების მიმხრობა უკრაინულ სეპარატიზმისადმი. აგრეთვე დამაფიქრებლად აღიარა თურქესტანის ახალი მოძრაობა, რომელიც ანტირუსული სულითაა გაქვნილი. და ბოლოს შეეხო კავკასიას და აქ აღმოჩნდა მეტად საინტერესო და ქართველთათვის დამაღონებელი სურათი. მან განაცხადა და ახლოებით შემდეგი: ჩრდილო კავკასიის მთელი მეტად მაგრად სდგანან დამოუკიდებლობის პოზიციას და მათთან არავითარი ლიბერალადაც სურისა. მიუხედავად მათი სიღარიბისა, მათ მაინც დიდი იმედები აქვთ და გვეუბნებიან, ეს ჩვენი საქმეა, თუ როგორ მოხუციოთ ჩვენს თავსაო. ყველა ამით ზურგს უკან პოლანეთი სდგას. ის აქვეყნებს ამ სეპარატიზმებს. ხოლო საქართველოში სურათი ცოტა უკეთესია იმ მხრივ, რომ აქ „ერთად ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია“ ს. დ. პარტიაა, რომელიც მუდამ ჩვენსკენ იყო და მაშინაც იძულებით გამოაცხადა დამოუკიდებლობა უსხოვითი გავლენით, თუმცა თვითონ ნ. ქორდანია, წერეთელ [მოიხსენია ჩხეიძე] ჩვენთან

იყვნენ. ეს ჩვენი ხალხია და ეხლაც გვეუბნებიან, რომ საქართველოში საკითხი ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყდება; ქორდანია მთავრობა ამ მხრივ საიმედოა. ესენი გვეუბნებიან, რომ ჯერ-ჯერობით დამოუკიდებლობას იცავენ რადგან ამას მათ ავალებს მათი მდგომარეობა და რომ ისინი უსდიან მოვლენების განვითარებას: ჯერ არ ვიცით რა მოხდება და ამიტომ წინასწარ დამოუკიდებლობის პოზიციასზე ხელს ვერ ავიღებთ. ყოველ შემთხვევაში, სთქვა მან, საქართველოში რაიმე გართულება და ბრძოლები, სისხლის დედა არ დაგვირდებოდა. ბნ-ის ხარლამოვის სიტყვაში ხანაასმით იყო აღიარებული: ნ. ქ-ის მთავრობა როგორც კვალიფიციური წარმომადგენლობა, ქართველი ერის; იძულებითი გამოცხადება ჩვენი დამოუკიდებლობის რუსეთის სივრცეში-ისინი ზოგად ფორმებში ყველა ერთა ეროვნული უფლებები, ხოლო „სეპარატიზმი, ნაციონალიზმი და შოვინიზმი“ აღიარა როგორც გარედან შემოტანილი, რუს. გარეშე მტრთა გავლენით; ს. დ. პ. როგორც ერთად ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში რომელიც ნ. ქ-ის მეთაურობით რუსეთისაგან გამოყოფის საქმეს მხოლოდ ფორმალურად აწარმოებს და ნამდვილად კი საკითხს არ გართულებს, ყოველ შემთხვევაში რუსეთთან კონფლიქტს მოერიდება და შეუთანხმდება. ასე რომ რუსეთს იქ არავითარი ბრძოლები არ დასჭირდება ბოლშევიზმის გადავარდნის დროსაო. მე მივიღე შთაბეჭდილება, რომ ბნ-ის ხარლამოვი ლაპარაკობდა ყოველივე ამას ალბად რაიმე შეთანხმებისა და მოლაპარაკების საფუძველებზე ქართველ მენშევიკებთან. ამას ვამბობთ იმ პირობა საყურადღებოთ ვინც ნ. ქ-სთან მუშაობენ კიდევ. ეს ყოველივე საყურადღებოა კიდევ მისთვის, რომ ბნ-ის ხარლამოვის სიტყვები დადასტურეს ბბ. თავმჯდომარემ და ზევინიკმა, რომელმაც ძალიან მადგრადა ილაპარაკა ქართულ ს. დ. პ-ს რუსობისადმი კეთილგანწყობილების შესახებ და ისე დახატა, ვითომც საქართველო მენშევიკთა წილხდომილი ქვეყანა იყოს და ამიტომ საქართველოს საკითხი არავითარ საფრთხეს რუსეთის მთლიანობისათვის არ წარმოადგენსო. შეუძლებელია, ასეთი ბაასი საჯაროდ საქართველოზე და ს. დ. პ-ზე, ქება-ნიას მიმართულებისა, რომ რუსეთის ამ პოლიტიკურ მიმართულებას რაიმე კანტაქტი, ამა თუ იმ ფორმით არ ჰქონდეს ქ-თან ჯგუფთან მაინც. შემდეგ შეეხებოდა მისთვის, რომელთა პოზიცია მეტად გარკვეულად და მოსაწონად იქნა დასურთებული. სომხებმა მალე გაიგეს, რომ მათი მტერი ბოლშევიზმია და ისინი იმ თავიდანვე აშკარად ჩვენთან ერთად დადგნენ მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე რომ მთელს რუსეთის სივრცეზე მხოლოდ სომხობა აშკარად ერთგული თანამებრძოლი რუს. რესპ.-დემოკრ. პ-სთან ერთად ბოლშევიზმის წინააღმდეგ მთლიან რუსეთისა „ქართველი ერის კვალიფიციური წარმომადგენელი ნ. ქ-ის მთავრობა“ საიმედო და შეუქველი მეგობარი მიუხედავად იმ ფორმალური პოზიციისა, რომელიც მათ უპირაფათ გარემოებათა ძალდატანებით. ესაა ამ საღამოს მოხსენებისა და სიტყვათა უმთავრესი დედა-აზრი.

საკითხის ასე ცალმხრივად დაყენებამ და მათ უმართებულო გაშუქებამ უნებლიეთ გამოიწვია სწობილი ქართველი მოღვაწის ბ. გ. დიასამიძის მოკლე მაგრამ მკაცრი და საფუძვლიანი პასუხი.

მან აღნიშნა საქართველოს დიდი როლი მსოფლიო აზიასა და რუსეთში და რუსული საზოგადოებრივობის სრული უუნარობა ქართული საკითხის შეგნების მხრივ და ხაზი გაუსვა ქართულ იმ პოლიტიკურ მიმართულებათ, რომელიც თავიანთი გავლენით მენშევიკობას არ ჩამოუვარდებია საქართველოში და მოითხოვა სრულიად თავისუფალი ლიბერალური დამოუკიდებელი ერთა აღმოსავლეთ ევროპაშიც.

თავმჯდომარე და მომხსენებელი შეეცადნენ მოებოდიშებიათ და სამივე რუსი მოლაპარაკე [ზევინიკი] მუდამ იძინოდნენ, ჩვენ უნდა ყოველივე შეთანხმებით მოვაგვაროთ ყველასთან, ვინც ჩვენთან დარჩება და მოისურვებს ჩვენთან ერთად ცხოვ-

ვრებასო. სიტყვა „დოგოვორიტსია“ წამ და უშუამ ისმოდა პარტიში, მაგრამ არაფერი იყო თქმული, თუ როგორ და რა ფორმებში სურდათ მათ ეს „დოგოვორიტსია“. ძირითადი მოტივი მთელი საღამოთა სა იყო სა „ინელი ში ში და ძრწოლა“, რომ რუს. თი დღეს არა ხვალ დაიშლება, რადგან ბოლშევიკთა პოლიტიკა-შინაორი და საგარეო ვითარება ერთი გეგნით მიიღრვის, ყველა შემადგენელ ერთა სულსკვეთება გარკვეულია. მათი აპარატი უფრო მომხალისია, რომ მოკლე ხანისკი გამოიყვანონ ბოლშევიკთა დატყმისას, რომ საკუთარი დამოუკიდებლობა და სუვერენობა მოიპოვონო.

სიტყვაშია, რომ მომხსენებელი არ შეეხო არც ქართულ ეროვნულ მოძრაობას როგორც აგვის, მაგ. საქ. ეროვ. დემ. პარტიის დამოუკიდებელ გუნდს არც აღებრბაიჯანელთ და არც ბალტიის მხრის სახელმწიფოთა შესახებ სთქვა რაიმე გარკვეული, თუმცა დენიკინის უკანასკნელი გამოცხადება ამის შესახებ არ მიიჩნია დამაკმაყოფილებლად და დროულად „მოდლოდა“ დემოკრ. პარტიის წინააღმდეგ. მათი პეტროგრადას მაინც არ ვინ გვიხდის სადაოთო? ეს იყო მისი ერთი ფრაზა ამ მხარეზე.

ჩვენ ვეკითხებით „ბრძ. ხმას“, მენშევიკებს და ქ-ს ჯგუფს, აქეთ თუ არა რუს. რესპ.-დემოკრ. პ-სთან, ან რომელიმე სხვა რუსულ დაჯგუფებასთან რაიმე პოლიტიკური მოლაპარაკება, ან შეთანხმება რომელიც მათ ნებას აძლევს სთქვან ის რაც შეიძლება არის მოყვანილი? და თუ აქეთ, ვისი სახელით.

ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას წინასწარ უღალატებს, ან ვალადგება, ის ვერც ქართველი ერის, ვერც საქართვე. დამფუძნ. კრების, ვერც საქართვე. მთავრობის და ვერც ქართული ემიგრაციის სახელით ვერ იმოქმედებს!

ყოველი ასეთი შეთანხმება უსხოველეთა უნდა ჩაითვალოს ყალბად და არ ყოფილა.

იმედი.

წერილი რედაქციის მიმართ!

დიდათ პატივცემულო ბ. რედაქტორო. გთხოვთ დაგვაყოლოთ და ეს წერილი მლათავსოთ თქვენი პატივცემული გამომცემის უაილოეს ნომერში.

ბერლინი, 12 ივლისი 1932.

ბნ-ის ვლადიმერ ახმეტელს. დიდათ პატივცემულო ბნ-ის ვლადიმერ!

რასაღალოს ხელმეგრულების შემდეგ გერმანიის მთავრობამ აააუქმა საქართველოს სრულყოფილებიანი საერთო გერმანიის, მაგრამ თქვენ ფაქტიურად მაის განაგრძობდით საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვას და მოსარჩლეობას. გერმანიის მთავრობამ განსაკუთრებულ ნდობას გიპსადებდათ და ამ ქამადაც გიპსადებთ. თავისი შენდულეობა თქვენს პერსონალურ მდგომარეობაზე მან განსაკუთრებით მგაფიოდ აღნიშნა გაუქმების გამო თქვენსადმი მიმართული ქალაქდში. ასლი შევიჩყეთ, რომ ამ 14 წლის წინდ საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ მთავრობის ბნ-ის ნოე ქორდანისა მეთაურობით განუზრახავს თქვენი გადაყენება. ყველასათვის სხადია ასეთ განზრახვას არავითარი კანონიერი ძალა არა აქვს. იგი ხნეობრივ მნიშვნელობასაც მოკლებულია, რადგან თქვენი უმწიკვლო მუშაობის წინააღმდეგ არავითარი ყურადსაღები საბუთი არ არის წამოყენებული. მაშასადამე, ეს ნაბიჯი უნდა ჩაითვალოს ან გაუგებარ შეცდომად, ანდა უსწაურ შურის ძიებათ ჩვენ, გერმანიაში მყოფ ქართველობის უმრავლესობა, წრფივად გულისწერით ვგმობთ ასეთ შეუწყნარებელ გამოლაშქრებას თქვენი უანგარო და ღირსეული პიროვნების წინააღმდეგ. ეს სრული უმართებულება და „სამართლობა. იური დიულო არსებობა რომ ჰქონოდა ჩვენს ქვეყანას, მაშინ, რასაკვირველია, თქვენ თითონ და თქვენი პატივისცემული ადვილად მოახრებდნენ სიმართლის აღდგენას. ამ ქამად კი ნება გვიბოძეთ დიდი პატივისცემით გამოგისხადოთ ჩვენი ნდობა და გთხოვოთ ძვილუ ბურად და ჩვეულებრივად განაგრძოთ ჩვენი საქართველოს მოქალაქეთა, ინტერესების მოსარჩლეობა სათანადო შემთხვევაში.

თქვენი ღრმა პატივისცემული ამ წერილს ხელს აწერს ოსტაშვიდი [27] მოქალაქე, რასაც ვამოწმებ პირველი ხელის მომწერელი გრიგოლ დიასამიძე.

ამ 27 კაცის გარდა ბ. ვლ. ახმეტელს ამ წერილზე ადრე მოუვიდა სამი მოქალაქისაგან დაახლოებით სეთივე შინაარსის წერილი. ეს რისხვი 30 უკვე შეადგენს გერმანიაში მყოფ. ქართველ მოქალაქეთა დიდმუბრავლესობას. დანარჩენებს, თუ სურვილი აქვთ შემოგვიერთდნენ „ვისთხოვთ გვრბოთ ამ მისარჩიოთ:

ამ წერილის პირი სათანადო მიმართვით გაუგზავნა აგრეთვე განუთებს: 1) „დამოუკიდებელი საქართველოს“, 2) „ბრძოლის ხმაზე“, 3) თეთრი გიორგის“, „ურთალებს: 5) „საქართველოს“, 6) „სახალხო საქმეს“. მამულიშვილური საღამით.

გრ. დიასამიძე.

ტებერვალი 1921 წელი

(ტიქრები და მოვლენები).

საქართველოს ბედის წერის დედა წელიწადი! გრძობდი, რომ კვლავ იმარტებოდა, მთელი საუკუნის ტყვეობის შემდეგ, სამი წლის წინად აღმდგარი ერი და...

გრძობდა შეილი ქვეყნისა, სამი მობლის სხულში გაეღებულ ტრადიციას და...

თავიდანვე ბნელი დაკვება. 1918 წლის 26 მაისის ნათესი.

რუსეთის რევოლუციამ საქართველოს კარები რომ გაიხურა, უკან დაბრუნების გზები მას უკვე დაზღვეული ჰქონდა.

ამ ფაქტით შობითვე იყო გადაწყვეტილი რუსთა ბატონობისაგან განთავისუფლებული საქართველოს ახალი ბედი.

ქორდანია და მისი შტაბი, ძველი საქართველოს ახალი ბატონი, მთელი სი სიცხლე რუსეთის ერთობისა და...

ქორდანია და მისი შტაბი ტარებდა, იცავდა და ასრულებდა რუსეთის სოც. დემ. პარტიის ნებებს და მიზანს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოსახადების შემდეგ კიდევ დიდ ხანს...

საქართველოს პრეზიდენტი და მინისტრები რუსული პარტიის წევრობას არ სთმობდნენ!

ეროვნულად რუსეთისგან ოფიციალური გამოყოფის შემდეგ, პარტიულად მალულად მაინც რუსეთთან რჩებოდნენ!

პირველი აქტი იყო ნაძალადევი, მეორე სპონტანიური და ნებისმიერი. ამ ხალხის სული და გული რუსეთისკენ გაბობდა!

უკვე მთელ საქართველოში ეროვნული თავისუფლების ძლიერი ქარიშხალი ჰქროდა. მთელი ქართველი ხალხი—და ამ ხალხში თვით სოც. დემოკრატიული მასსაც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდა.

ამ საერთო ეროვნულ აღტყინებაში რუსეთის ბატონობის ერთგულებას მარტო ქორდანია და მისი შტაბი იცავდა!

ყველა ფრონტზე და ყველა საშუალებით ეს ხალხი ებრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობასა ებრძოდა რუსეთისა და მისი დემოკრატიული მთლიანობის სახელით!

მერი დაყოვნება შეუძლებელი ხდებოდა, ასე თუ ისე, ეს საკითხი უნდა გადაჭრილიყო. თბილისში იმართება სოც. დემ. პარტიის საგანგებო კრება.

ამ დადგენილებას წინააღმდეგობა არ ადამიანი! ერთი იყო ბნელი ქორდანია, ეს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი!

და რომ თავისი გაბორბლება ოფროცხად ეყო და საშვილიშვილოდ დარჩენილიყო საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ მისი შეურთებელი მიტოვარების ნაშთი,—ხანისათვის ასეთი უნდა!—ნოე ქორდანია იქმნის საგანგებოდ შეატანა, რომ

იგი წინააღმდეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის!

ამ დღიდან ერთი წუთით არ შემდგარა საქართველოს სათავეში პირველადვე დაგუბებული შხამის მუშაობა.

26 მაისები ეროვნული დღესასწაულია. ქორდანია დასვირნობს ყვეალებით მორთულ თეთრ სხენებიან ეტლში. მაგრამ მისი პრესსა აღმამფთვებელი სინიზმით ქართველ ერს აუწყებს—საქართველოს დამოუკიდებლობა არ არის ჩვენი მთავარი საზრუნავი, ჩვენი „ფეტიში“!

ამ ხალხს უფრო სხვა იტაცებს—სოციალიზმი და მის დამყარება. მაგრამ პატარა ქართულ მარტაბში ეს შეუძლებელიც არის და უინტერესოც. ამიტომ ბნელი ქორდანია ლენინს დეპეშას უგზავნის—სოციალიზმი ერთად დაეამყაროთ და ყველაფერს ამ საზომით სურის და კერავს.

იღება ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისა და მენშევიკურ საქართველოს შორის. აქ აშკარადდება თვალუწვდენი უფსკრული ქორდანია და მისი შტაბის გაუნათლებელი უვაცობისა და უგუნურობის. საქართველო უკვე დალაღიანებულია და გასემული!

მისი საზღვრები მთებიდან ვაკეზეა ჩამოტანილი. საქართველოს გაჩენიდან მისი სიმტკიცის ბუნებრივი კედლები და იწროები „აყრილია და გახსნილი“!

საქართველოდან განდევნილია ანტი-ტიპის ინგლისის შემოსული ჯაოები.

საქართველოში ნება დართულია ბოლშევიკური პროპაგანდა ამ პროპაგანდის ყოველნაირი ღონისძიება წინასწარ შეწყნარებულია, როგორც ნორმალური და ამიტომ ყოველგვარი დასჯისგან თავისუფალი მოქმედება!

შურისძიებას ასეთი უნდა! საქართველო განიარაღებულია და ხელფეხ შეკრული. რუსეთის უკან დაბრუნების გზები შეკეთებულია და უზრუნველ ყოფილი, ლენინი მოწვეულია.

მოვლენები ამას თანდათან ააშკარავენ: აღებული ანერბიჯანი. აღებულია სომხეთი. ჯერი საქართველოზეა მომდგარი ბოლშევიკები უსერემონიოთ გვექცვიან და შეურაცყოფას შეურაცყოფაზე გვაყენებენ. ქორდანია და მისი შტაბს მოსდის უტყუარი სწობა, რომ გვეკრი საქართველოზე თავდასხმას ამზადებს. ჩვენი სამხედრო შტაბი მსონარეობს წარმაცი და უნებისყოფი. მთავრობა მტრის საქმეს აკეთებს. სამხედრო მინისტრად ინიშნება ყოვლად უმწყო ადამიანი, სრული არარაობა. ჩვენი ფრაქცია დამფუნებელი კრების ტრიბუნის დან მას უნდობლობას უსხადებს. მთავრობა იცავს თავის მინისტრს და მენშევიკური უმრავლესობაც მას მხარს უჭერს.

სამიოდე კვირის წინ ვიდრე რუსეთი შემოგვიტყვდა, ხდება ახალგაზრდა ქართული ჯარის საკადრო მასალის დემობილიზაცია! დამფუნებელი კრება ჯერ კიდევ ადრე მთავრობას უხსნის, მისივე წინააღმდეგობით, 75000 ჯარის კაცის გამოსაყვანად საჭირო კრედიტს. ომის დროს მხოლოდ ამის მეშვიდედი აღმოჩნდება! სასრული მასალა არსენალში გამოლეულია და მინისტრები-კი ყოყლოჩინობენ ასე კარგად მომზადებული არასდროს არ ვყოფილვართ!

თვით ქორდანია დამფუნებელ კრებაში გააღმასებული იბრძვის... დეპუტატ ნინიძის წინააღმდეგ. ეს დეპუტატი, უკვე ოპოზიციის გადსული, „სხვის“ ჯგუფს ეკუთვნის—მისი ოჯახობით ქორდანია ჩუჩაში გაპყარა და რეკვიზიცია ქმნილ ბინაზე თავისი ფავორიტი ჩაასახლა. მოგვესვენებოთ ქორდანია ოპოზიციის არ უყვარს და ოპოზიციონერის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს არ არჩევს...

მთავრობის ეს განკარგულება შეკითხვის საგნად გადაიქცა. მიმოიხარე კამათი მოუხრებელი სიშიშვლით ამქავენებს ქორდანია, მისი შტაბის და საერთოდ მთელი მართველი ძალის უკიდურესს დაკნინებას, დაწვრიმალებას, გათასირებას.

საერთო სურათი ქორდანია და მისი შტაბის მმართველ-გამგებობისა უაღრესად დამაწყვლელელია და სასოწარმყვეთი! ხან დანაშაული გადმოწონის უგუნურებას, ხან სინიზმი დანაშაულს. ერთსა და მეორე შემთხვევაში ხარჯებს საქართველო ასწორებს თავს ვერაფრით ინოვემებ. ყველაფერი დასდებს რომ საქართველო საბოლოოდ განწირულია, მომპალაა თვით მისი მმართველი თავი. ან ეს თავი უნდა მოაშორო ქვეყანას, ან ქვეყანა დაიღუბება,—ასეთია დილემა. შიგადაშიგ არის ნიშნები ერის გამოფხიზლების, შეგნებული პატრიოტული ძალების ამოქმედებისა, მაგრამ ესლა გვიანაა.

დრო არ იცდის... უკვე თერთმეტი თებერვალია. საქართველოში მტერი შემოიჭრა. ჩვენი ჯარის სამი მეოთხედი ბორჩალოშია ჩაყენებული. მტრის მოულოდნელი (!) თავდასხმა მას არარად აქცევს. ნაწილი იქვეა გაწყვეტილი, ნაწილი სუფსრიგოდ იხვევს თბილისსა და მტერ შორის ბრძოლისთვის გამოსადეგი ქართული ძალა უკვე აღარ არის. მტერი რომ პირდაპირ წამოვიდეს, თბილისს ისე დაიჭერს რომ თოფის გასროლა არ დასჭირდება. მაგრამ მტერი მომენტით ვერ სარგებლობს. მას ვერ წარმოუდგენია ჩვენი ამგვარი უმწყოება და სიფრთხლეს იჩენს მთავრობა უკმაყოფილოა გენერალ ოდიშელიძის, ქართული ჯარის მთავარი სარდლის და მას სამსახურიდან ითხოვს. იგი მიმართავს, როგორც არა ერთხელ მიუშართნია ხოლმე გასაჭირის დროს, გენერალ კვინიტაძეს და მას ოდიშელიძის ადგილზე ნიშნავს ეს იყო 16 თებერვალს. წინებზე, სამხედრო ოპერაციები გენერალ კვინიტაძეს ყოველთვის ქართული ჯარის გამარჯვებით დაუგვირგვინებია. ვინ იცის იქნებ ესლაც ასე მოხდეს. ყველას სჯერა მისი იღბლიანი ბედისა...

დიდსა და პატარას სასწაული უნდა...

თბილისი და მთელი საქართველო მწარე განცდებშია ჩაძირული. უკვე საღამოს ათი ათასია. ოცდა ათამდე დამფუნებელი კრების წევრი თავმჯდომარის კაბი ნეტში ვართ. ვუძღვით მოვლენათა განვითარებას. თავის მაგიდას უზის თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი ა. ლომთათიძე. სახეები ღრმა სევდითაა აღბეჭდილი. ქვეყნის უბედურებას ყველა თავისთვის განიცდის. საერთო სიჩუმეა. ხანდახან მეზობლად მჯდომანი ერთმანეთში თითო ოროლა სიტყვას გასცვლიან. და კვლავ თავიანთ თავს დაუბრუნებენ. მოულოდნელად თავს წამოყვადებენ ნაბადში გახვიული, თბილისის ქალაქის თავი და დამფუნებელი კრების წევრი ბ-ნი ბ. ჩხიკვიშვილი. ის გამოგზავნილია ქორდანიას მიერ და ამ უკანასკნელის სიტყვიერ დანაბარებს გადმოგვცემს—ქორდანია შე მოთვალა რომ მთავრობა ამავე დამით თბილისს სტოვებს და ვისაც წამოსვლა უნდა, დილის ორ საათისთვის, სადგურზე გამოვიდეს. ეს ნურავის შეაკრთობს, ანდერძი გაცს არა ჰკლავს. ამ სიტყვებით თვით სიკვდილის წარები ჩამოირეკა. თბილისის მიტოვება დაცვის უსძელად, წინააღმდეგობის გაუწყვლად, სხევრპლის გაულებლად, მის კალთებზე მამულიშვილის წმინდა და სისხლის დაუბკურებლად? ეს ხომ საქართველოს თავისუფლების მიტოვებაა, მისი დამოუკიდებლობის სრული ლიკვიდაცია! სად, როდის, ქართული ისტორიის რომელი ეპოქაში, ან რომელი მეფის დროს მომხდარა ასეთი სამარცხვინო ამბავი?! დამარცხება? არა! ერთი სხვა დროსაც დამარცხებულა! მაგრამ მას ამ სხვა დროს დამარცხებიდან თავისი სახელი, პატივი და სულის სიდიადე ყოველთვის გამარჯვებული გამოუტანია რა, ეს დამარცხება კი არ არის, არამედ უუძმიძგი შეურაცყოფა საქართველოს ქალწულებრივი ეროვნული ნამუხისა, უღმერთო შელანვა ჩვენი დიდი ისტორიის ხელუხლებელი ღირსებისა! გმობა და უარყოფა მთელი ჩვენი ამაყი წარსულისა! ინო

გურაცია ახალის ღირსება-ასტორის ქართლის სხორებაში. ქორდანია არ გვაკმარა რაც დღემდე დამსირება და უბედურება მოგვიტანა. იგი ბოლომდე მიჰყვა შურისძიებას! ამ ეროვნული ტრადიციის უუსაშინლეს წუთებში იგი ბელზებლობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას და მის თანამედროვე თაობას სამუდამოთ სახელი გაუტეხოს, ჩირქი რამ მოსცხოს მოუშორებელი და ასე შერცხვენილა ერთი სა და მეორეც დაუსრულებლივ ატაროს საქართველოს წარსულის პანთეონშიაც და მომავლის პროსპექტებზეაც!

ნუ თუ ბოლომდე უნდა შესვა, ბედ უბედურო სამშობლოვ, შენივე უღირსი მმართველის მიერ საწამლაკით აღსვებული ფილაა?!

ან ვინ გამოიტანა ეს წარსული საქართველოს თავის მოკვების განაჩენი?

ვინ ინება მომავალი საქართველოს გაუნამუსობა? ქორდანია მარტო, თუ მთავრობამ კოლექტიურად? ვინ არის ავტორი ამ უსაზღვრო დანაშაულის?..

აქ უბნად გაგონდება ნოე ქორდანია 1916 წელს, ბელინსკის ქუჩაზე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში. დიდი ომის მეორე წელიწადია. პატრიოტულად მოახროვნე და განწყობილი ქართველობა გრძობს სანარკრელი სვოილების მოახლოვებას. პერსპექტივაში მოსხანს რუსეთის დამარცხება. იმედი ფრთას ისხამს. თაისუფლების სიო იშვა შორეულ მხარეში და თანდათან საქართველოსკენ მოიწვეს...

მეფის მთავრობას მოაგონდა რომ ჩვენი ქვეყანა მოკლებული იყო იმ რეფორმებს, რომელიც შიდა გუბერნიებში ნახევარი საუკუნის წინად იყო შემოღებული. ოფიციალურ წრეებში და მათთან ახლო მდგომ საზოგადოებაში მოუვადება ერობის შემოღების პროექტი. ძალიან მწვავე ხასიათს ეღებულობს საერობო რეიტორიული ერთეულების საკითხი. კავკასიის მთავრობის აშკარა თანაგრძობის ჩრდილის ქვეშ ჩვენი მეზობლები საქართველოს მიწა-წყლის გასაწყვად ილაშქრებენ.

ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ საზოგადოებაში ხდება კრებები-იმართება მოხსენებები. დღეს მოხსენე, ბელია ბ-ნი ქორდანია საკრებულოს დარბაზი სავსეა ხალხით. კრებას თავმჯდომარეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი, თავადი კონსტანტინე აფხაზი. ყველა დიდი სწობის მოყვარეობით მოელის მომხსენებლის სიტყვას. ქორდანია აქ-იქ მიჩნეულია როგორც ხვალისდელი დღის ბელადი. რითი გაუმსახინძლდება იგი ქართველ საზოგადოებას? მარქსისტული შაბლიონით, თუ მშობლიური სინამდვილის ქართული გაგებით? საზოგადოება მოხსენებას გაფაციცებით თვალყურს ადევნებს. მოხსენებაში წამოყენებულია წერილი კანტონალური სისტემის პრინციპი. უარყოფილია ეროვნულ-ტერიტორიული საფუძველი საერობო გადამიჯვნაში. ავტორი წარბ-მეოხრეულად მიეჩნება ამ დებულება თალოლიკური დასკვნისკენ... და თბილისი საქართველოს მოშორდება...

არც ასეა, არც ასეა, ქორდანია თბილისის საქართველოს მკედრს მოჰკლიჯა და იგი მის საზღვრების გაღაღმა მოაქცია, როგორც კავკასიის საერთაშორისო ქალაქი...

თბილისი, გული ქართლისა; ღერძი მისი ისტორიისა; მისი თავი და ბოლო: რომლის დაცვას შესწირვიან თაობათა მთელი წყებანი და გრძელი ქართული საუკუნენი,—ეს ჩვენი თბილისი ქორდანია, საქართველოს ამ მომპვალმა ბელადმა, პირველად რაც საქართველო არსებობს, ქართული სხეულიდან ამოსხარა დი იგი უსხოთა საკუთრებად გამოაცხადა. ქორდანია, მარქსიზმის ბელადი საქართველოში, თავის რწმენითა და ვრძობით თბილისის გამსენი აღმოჩნდა! ამას მოჰყვა მსმენელთა დიდი აღმფოთება.

დღეს მეოთხე წლის თავზე იგი ამ

სვე იმეორებს, უკვე როგორც საქართველოს პრეზიდენტი!...

ესა და სხვა მრავალი ამგვარი ფიქრი და გრძნობა ელვის სისწრაფით რეინსა სერავენ...

მაგრამ უორდანიას ამ ზარდამკემ განსხადებანე, არსად სჩანს თავისუფალი, გულის სორმიდან აღმომდარე შეტაკება, შეტევა, რეაქცია. პირდაპირ საშინელი ჰსდება. სოციალად მიცვალების სურათია ეს სანახაობა. დამსწრეთა დიდი უმრავლესობა მმართველი ფრაქციის წევრია. სჩანს, აქ მორჩილება მათი „დალაი-ლაიმის“ გარდაწყვეტილების წინაშე ასეთვე გაქვავება ეტყობა სოციალისტურ ოპოზიციებს... ბოლოს ეს მელეუარე და აღშფოთებული გრძნობები ბუნებრივ გამოსავალს მოსძებნიან უორდანიას შიკრიკისა და დამსწრეთა გასავანათ... დასვენად, შეუქცეველი გარდაწყვეტილების ტონით განაცხადებ, რომ შეუძლებელი იყო თბილისის ასე დატოვება და მოკითხვით თვით უორდანიას გამოცხადებას ჩვენს წინაშე.

— უორდანიას არ სძალიან, ვერ მოვაო, იყო ამანედ დეპუტატი ჩხივიცილიის პასუხი.

ამ სიტყვებმა ყველას შიგ გულში უჩხვლიტეს: ამანე დიდი საქმე რა უნდა ყოფილიყო, რომ უორდანიას ამისთვის არ მოეცალა... მე ჩემი მოთხოვნა კიდევ განვიმეორე. პირველმა საერთო გაოგნებამ, სჩანს, გადაიარა. ეხლა აღშფოთებამ თავი სხვებ შიაც იჩინა. უკმაყოფილებამ გარეთ გამოქონა სჩანს, რომ დამსწრეთაგან ეს გარდაწყვეტილება არაფერ იცოდა. იგი არ იცოდა არც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე იმ ბ. ა. ლომთათიძემ. საქვეყნო საქმის დაზიანებასთან ერთად ჩადენილია ბევრი პირადი შეუთარსყოფა: უორდანიას მიერ სრული იგნორანცია გავლენიანი პასუხისმგებელი პირებისა თვით საკუთარი წიგნდანი-კი ეჭვს არა სტოვებს. უკვე გაიმართა ანრთა წესიერი გამოთქმა. ჩემს მოთხოვნას ყველამ მხარი დაუჭირა. თბილისის ქალაქის თავი წავიდა ამ დავალების შეასრულებლად. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე შეეცადა უორდანიასთან ტელეფონით დაკავშირებას. მაგრამ ამოდ...

დამის თორმეტი საათი ახლოვდებოდა, როდესაც ბ-ნი უორდანია მოვიდა, ჩვეულებრივი, ისეთი, როგორც ყოველთვის; ოდნოდ უფრო საწყალი. საერთოდ, სრული ტიპი უსაგზლო ადამიანისა; ბუნება პრეტელი, უგანო და უღრმო მისი გრძნობა გონების ჯიბე-უბებები გადმოტრუნებულია, და სარბილი. ვერაფერთარ ახალ იდუმალ ძალას მასში ვერ ადაგრძნებს ვერც დიდი გასაჭირი, ვერც დიდი ბედნიერება. განვებას სიუხვის სარუნერვო კუნძული მასში არ გამოუწასკვავს. საწყავი მასალა.—ეს ღვთის მადლი არ გამოყოლია. უორდანიამ განიმეორა, რაც ბ-ნმა ჩხივიცილიამ მისი სახელით გადმოგვცა. არ დავიწყებოდა თავისი „უძლიერების არაგუმენტიც“ „ანდერძი კაცს არა ჰკლავსო“... ცოტა ხანს დასული სიჩუმე, მალე დაირღვა. ეხლა უკვე მომეტებულის აღშფოთებით ყველანი თავს დავესხით უორდანიას გარდაწყვეტილებას, მის აზრებს და საბოთებს. ატონია და ინდიფერენტობი გაიფანტა. დარბაზს გამოცოცხლება დაეტყო. ყველამ აქტიური პოზიცია დაიჭირა: თბილისის მეგობრები აღმოუჩნდნენ. საქართველოს ნამუსს—დამცველები: ფედორალისტებიდან სამსონ და კიდევ სხვები; ესერებიდან ი. ვობეჩია და ი. ლორთქიფანიძე; აგრეთვე „სხიველები“ და ბოლოს თვით მთვრობის ფრაქციის წევრები.

ამ დროს დარბაზში შემოდის ჩახასა და ნაბადში დამე. კრების წევრი ბ. შ. ქარუმიძე, რომელიც მთავრობის დავალებით ფშავ-ხევსურეთში იყო გაგზავნილი მონახლისე ცხენოსანთა მოსაყრებად. იგი კრებას ანობს მთის მხნე სულიერ განწყობილებას და მის მზად ყოფნას ტრადიციული საქმისათვის—სამ-

შობლოს გულისათვის თავის დადებას. მეორეს მხრით ძლიერ პათეთურ სიტყვაში იგი თავს ესხმის მთავრობის წრეში დამკვიდრებულ სოლმდაბლობას და თბილისის დატოვების სამარცხვინო გადაწყვეტილებას...

— თბილისის დატოვების შემდეგ, ოთხ საათში, ლიხის მთასთან მისვლამდე, თქვენ დაპყარავთ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს და ამის უმაღლეს მთელ საქართველოსაც. თქვენ მოკლებული ხართ იმის გაგებას რომ თბილისი ისტორიულად ქართლის ცხოვრების თილისმაა, მისი სიცოცხლის მაჯის სემა. თბილისი უნდა დავიცვათ, თუნდაც მარტო ჩვენი ისტორიის პატივისცემისათვის... სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ჩამოვარდნალ სიჩუმეში თავის სავარძლიდან წამოდგება დამე. კრების თავმჯდომარე ა. ლომთათიძე. იგი მთელი ეს დრო ხმას არ იღებდა, ერთობ მიძიმე ლეღვასა და მწყურბარებაში ჩაძირული.

— მთავრობაც რომ წავიდეს და თქვენც რომ მას თან გაჰყვით, მე აქედან თვის არ მოვიცვლიო. ეს სიტყვები ნათქვამი იყო ისეთი შინაგანი რწმენის ხმით, რომ მეღსაც უჩრბობას ვერ შეჰძებდავდი. მორჩა. დარბაზში უორდანიას მომხრე არავინ იყო.

უკანასკნელი შეკითხვა იყო, თუ რა აზრისა იყო ამ საგანზე თვით მთავრობის სარდალი უორდანიამ გვიპასუხა. რომ ისიც მისებრ ფიქრობდა. ჩვენ მაინც მოვისურვეთ მთავრობის ნახვა და მას თან მოლაპარაკება. ამ მიზნით იმ წამსვე კომისია იქმნა არჩეული, რომელშიც შედიოდნენ: [redacted] ი. ვობეჩია, იმნი იშვილი და მე. სულ რამდენსამე წუთში უკვე მთავრობის სამუშაო ოთახში ვიყავით. ყველგან რუკები—კედლებზე, მაგიდაზე და მათ შორის მარტო გენერალი კვინიტაძე და სხვა არავინ.

ავუსხენით ჩვენი მოსვლის მიზეზები და შევეკითხეთ, თუ რას ფიქრობდა, —მართლა სტოვებდა თბილისს, თუ პირიქით, მის დასვენა აპირებდა. მთავრობის სარდალი გაოცებული დარჩა თბილისის დატოვების გაგონებაზე.

— მორჩენია თავში რეკლავერი დავიცე, ვიდრე თბილისის დაცვანე ასე ხელი ავიღო, იყო სიტყვა-სიტყვით მისი პირველი რეპლიკა. ამას მოაყოლა მდგომარეობის დასურათება; გვითხრა, რომ ეს მდგომარეობა იყო კატასტროფიული; რომ გარდა ერთი საყარაულო ბატალიონისა, რომელსაც გენერალი მანიაშვილი უფროსობდა და რომელიც ფრანტზე სულ სამიოდე საათის წინ იყო გაგზავნილი, ერთი ჯარის კაცის არ მოეძებნებოდა; რომ თბილისი, ამგვარად, მტრისათვის სრულიად ღია იყო; მაგრამ რომ მას უკვე დაბარებული ჰყავდა გორის, ბათუმის და კიდევ ორიოდ სხვა ბატალიონი; რომ თუ მტერი ერთორღეს დაგვატლიდა, იგი მას ამ მცირე ძალებითაც შეებმოდა და თბილისის დასვენა მოაწყობდა; გვითხრა, რომ გენერალურ შტაბს კერძოდ თბილისის დასაცავად არავითარი წინასწარი მუშაობა გაწყველი არა ჰქონია და რომ საერთოდ მას არც ქვეყნის თავდაცვის გეგმა ჰქონია შემუშავებული. მოკლე და ენერგიული სიტყვებით დაგვარწმუნა, რომ იგი იზამდა ყველაფერს, რაც ამ პირობებში შესაძლებელი იყო, რათა დაეცვა ქართული მხედრობის ღირსება და საქართველოს სახელი; რომ ეს იყო მისი უაპელიაპიო გარდაწყვეტილება.

მთავარი სარდალი თბილისის იცავდა, მას უბრძოლველად არ სტოვებდა!

კომისიამ მადლობით აღნიშნა მისი სულიერი სიმხნე და თავის მხრივ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. დამფუძნებელ კრებაში აღტაცებით მოისმინეს მთავრობის გარდაწყვეტილება.

უორდანია დამარცხდა: თბილისს არ ვსტოვებდით! საქართველო თბილისის კედლებზე საომრად გადიოდა... გუენება შეიცვალა. იმედებმაც შეისწორეს თავიანთი ჩამოყრილი ფრთე

ი. მთავრობის დატოვების განკარგულე ბაში 17 და 18 თებერვალი დაურჩა. ბატალიონები ჩამოუვიდა. მათ თავისი სამხედრო სკოლის შევირდებიც მიუმატა და თბილისს გარშემო დასვის სარტყელი შემოუჭირა... პირველი შეტაკება დამე თვრამეტიდან სწრაშეტამდე მოხდა. იგი მტრის დამარცხებით და მისი სრული დილით დამთავრდა. 19 თებერვალს დილით ცხენოსანმა შიკრიკმა თბილისი გარდი-გარდმო გაიბრინა და მსხოვრებთ ჩვენი ჯარის გამარჯვება ახარა მშვენიერად, მზიანი ამინდი იღვა. დამე. კრების წინ დიდძალი ხალხი დაგროვდა.

დიდი საერთო აღფრთოვანება. სასახლის აივანიდან დეპუტატები ხალხს გამარჯვებას ულოცავენ. ამასობაში ჩამოატარეს პირველი სამხედრო ტყვეები. ერთი თვალის დაკვრით, რკას, სხრაას კაცამდე მოსჩანდა. საშინელი სანახაობა კი იყო! ყველა დაფლეთილია. ეს რა ველური და მაწანწალა სახეებია! საზოგადოება ტაშის კვრითა და ვაშის ძახილით იხსენიებს ქართველ ჯარს და მის მთავრობას. იმედი იზრდება დღეები გადეს. ბრძოლები გრძელდება. თბილისის ჰერს განწყვეტილები რბაზნის გუგუნი არხვეს. ამ გრგუნზე დამე. კრება საქართველოს კონსტიტუციის უკანასკნელ თავებს არჩევს... მტრის შეუჩერებელი მიდრე იერიშები ქართველ მთავრობა მამაცობაზე იმხსრევა. კოლხორში, ტაბახმელაზე და სხვა გან ხდება იშვიათი გმირობის აქტები. საქართველო თავის წარსულის ღირსებას აწმყოშიაც გვაძლევს! საქვედრო-სა სიცოცხლო ბრძოლა.

თბილისი თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ხშირად ყოფილა ამ დღეში. მისი ისტორია მოგვიტობრბს რომ იგი მტრის მიერ უმეტესად ოთხმოდცი საყოფილა აობრებული. რა იქნება ეს? მთელი ქართველი ერის გულისყური ზედ თბილისის მყარდება დასვენებული. საქართველო დღეს მარტო თბილისის სიცოცხლით სიცოცხლობს. ყველა გრძნობს რომ საქართველოს ბედი დღეს მთლიანად თბილისის ბედზე დამოკიდებულია. და ყველანი ამიტომ თბილისის სთვის ლოცულობენ. მაგრამ არა! ზოგი ვინმე სხვა რამითაც იყო გართული. და საზოგადოებაშიაც აუწერელი აღშფოთებაა: ამ დროს უორდანია და მისი თითო ოროლა მინისტრის ბინებიდან ხალხმა ყურმოვლეილი კასროლების, ფხნილორცილი სკამებისა და სხვა ამგვარი საოჯახო ნაყარ-უყარის წესიერი ევაკუაცია დაინახა! უორდანია და მისი მთავრობა თბილისს-კი სტოვებდა, მაგრამ თავის ყურმოვარდნოდ კასროლებს-კი არა!.. ეს ზომავს ამ ხალხის სულის პატიოსნებას.

ქვეყანამ ეს დაინახა და დრტინვა დაიწყო, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

მთელი დღე და წინააღმდეგ ამ დღეებში აღმარდინებულ, იმედებისა, თებერვლის ოცდა ოთხს ღამის თერთმეტ საათზე გავრცელდა თბილისიდან დახვედს წარდამცემი ამბავი სიცოცხლის ძარღვი გადაუზრესო მთელ საქართველოს. გულები შედგნენ. სამარის სიჩუმე დამყარდა. ქართველები ღანდობად გადაიქცნენ. ხანდახან გამოისმის თითქოს საიქიოდან მოსული და შჯრს მგზავრობით დაღლილი ხმა მათი. საშინელი ღამეა. სივი. ჰყინავს კიდევაც და ჰთოვს კიდევაც...

ასპარეზე სხვა გამოდის—მტერი და მისი მეგობრები. უკვე გათამამდნენ, გაბედულათ ლაპარაკობენ. აქა-იქ თავს ესხმიან ჩვენებს...

თბილისი კიდევ ერთხელ აობრდა... მეორე დღეს დილის ოთხ საათზე თბილისში უკვე არც ჯარი იყო, არც მთავრობა და არც დამფუძნებელი კრება...

გამოგვევა მხოლოდ რამოდენიმე დღის სახელოვანი ბრძოლა რამაც საქართველოს სამუდამო სიბრცხელი ააშორა.

სპ. კეღია.

საბა-სულხან ორბელიანი გერმანულად.

გერმანულ ენაზე გამოვიდა საბა-სულხან ორბელიანის წიგნი „სიბიძნე სიცრუისა“, მეტად მოხდენილი და კახშული გამოცემა ჩვენი თანამემამულისა ბ-ნ არჩილ მეტრეველისა. წიგნის თარგმანი ეკუთვნის მეორე ჩვენს თანამემამულეს პროფ. ბ-ნ მის. წერეთელს და მას დართული აქვს შესამე ჩვენივე თანამემამულის ბ-ნ ზურაბ ავალიშვილის შესავალი.

ამგვარად, ამ სამი ქართველი კაცის თანამშრომლობამ უცხო მკითხველს შესთავაზა როგორც პირველი ქაშნიკი, ქართული შემოქმედების გონება მახვილობის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი.

გაკეთდა მეტად კარგი საქმე ქართული კულტურის სასარგებლოდ.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ბ-ნ არჩილ მეტრეველს, რომელმაც ამ საქმეს სული ჩაუდგა, განზრახული აქვს გერმანელი მკითხველის ცნობის მოყვარე ას მოუწყოს საგანგებოდ შერჩეული „ქართული ბიბლიოთეკა“, რათა საშუალება მისცეს საქართველოსა და ქართველებზე ერთსა და იმავე დროს სწორი და საკმაო წარმოდგენა იქნოს.

მის მიერ დაბეჭდილი და დაგზავნილი პროსპექტურიდან სჩანს რომ ამ განზრახული „ქართული ბიბლიოთეკის“ მეორე ტომად იქნება ბ-ნ ზურაბ ავალიშვილის შრომა, რომელიც საქართველოს ისტორიას შეიძენება.

ამას მოჰყვება ჩვენი უკვედავი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რომლის თარგმანს, როგორც გავიგეთ, უკვე შესდგომია პროფ. ბ-ნი მის. წერეთელი. შემდეგ ტომად მოდის ბატონიშვილი ვახუშტის „საქართველოს ლეოგრაფია“, რომელსაც სთარგმნის პროფ. ბ-ნი რომარდი მიკელანინი; ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლურ სემინარში ქართული ენისა და ლიტერატურის დოცენტი.

ამას უნდა მოჰყვეს „ქართლის ცხოვრება“. ბოლო ტომებად გამოვა იმავე პროფ. ბ-ნი რომარდი მიკელანინის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ და გერმანულ-ქართული ლექსიკონი.

ამ მშვენიერად მოფიქრებული და სიმეტრიულად შეგროვილი ანსამბლი სრულიად საკმარისი საქართველოს და ქართველობის შესახებ არსებრივი სინამდვილის შესამეცნიებლად ყოველი უცხოელი წამკითხველის მიერ.

ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით ბ-ნ არჩილ მეტრეველის ამ მადლიან თაოსნობას „რომელიც დაუფასებელ ამბავს დასდებს ჩვენს შიშობლიურ ისტორიას და მორალურ კულტურულ განქულობას. მათი რეზონანსის მოფენით მთელს იმ სიერტყეზე, სადაც გაისმის დიდი კულტურული ერის ენა და მეტყველება.

ეს იშვიათი და ხაიმედო მაგალითია ქართველი კაცის მაინც შეგნებული მხნეობისა, ამ საერთო ემიგრანტულ მოშვებულე ბაში! ვუსურვებთ ბ-ნ არჩილ მეტრეველს კეთილად დაემკვიდრებინოს ეს თავისი ყოვლად ღირსეული პატრიოტული განზრახვა.

შესწორება.

ჩემს წერილში ილიას საღამოს შესახებ [იხ. „საქ. გუშაგი“ №2] მე სხვათა შორის ვწერდი. „ბ-ნი ალექსანდრე სულხანიშვილი ყოფილი თანამემამულე ჩოლოყაშვილისა და მგანი დღევანდელი მისი მადვილე შეფიქსელთა შორის...“ და სხვა. თანამამამ ბ-ნი ა. სულხანიშვილის თხოვნისა აღვნიშნავ, რომ მას მოხსენებული ოფიციალური თანამდებობანი არა სჭირია.

გ. ცხაკაია.

ორგანიზაციების წევრთა საყორადღებოთ.

საბოლოოდ გამოირკვა, რომ გიორგი (გუგულა) გამყრელიძე („სამშობლოს“ ჯგუფის წევრი) არის პოლიტიკურად არა მეთოლი საიმედო პირი იქნება და რომ მას უკანასკნელ დღეებამდე ეკავი პოზიცია „ჩეკის“ მოხელეობით.

გაცნობებთ რა ამას, გაფრთხილებთ; რომ მასთან რაიმე დამოკიდებულებაში ყოფნა შეუწყნარებელია.

ერ. დემ. პარტიის სახ-თელი ახალ. კომ. მდივანი; მიტო სინჯიკაშვილი.



პარტიულ დისიდენტებს.

როგორც ეს თავიდანვე მოსალოდნელი იყო, პარტიის ერთი დაჯგუფების თაოსნობით შექმნილი შინაპარტიული დავა საჯაროდ გამოვიდა წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ცენტრალური ინტერესებისა, წინააღმდეგ მისი წესდებისა და ტრადიციისა. ეს მოხდა ჯერ „ბიუროს“ გაჩენის სახით და შემდეგ ე. წ. „ახალგაზრდათა კონფერენციის“ მოწყობის გზით. სულ უკანასკნელად კიდევ „ბიუროს“ ორგანოს ეურნალ „სამშობლოს“ გამოლაშქრებით. ამ დაჯგუფებას თავიდანვე ახასიათებდა თავდასხმა ბ-ნ სპ. კელიაზე, ამ ჩვენი პარტიის უსვლელ თავმჯდომარეზე დიდ დანაშაულის უარსებისა და შემდეგ პირადად ჩემზე. ეს უკანასკნელი არ გამკვირვებია, რადგან ჩემსა და „ბიუროს“ ერთ ხელმძღვანელ-შორის წინადაც იყო უსიამოვნება, რაც მე არასდროს არ დამომალავს. ამას თავისი ღრმა მიზეზი ჰქონდა, მაშინ ჯერ კიდევ ბევრისთვის გაუგებარი, ესლა-კი უფრო მეტისთვის გასაგები და ადვილ ასახსნელი.

ამ „ბიუროს“ ორგანოს „სამშობლოს“ უკანასკნელ [მე-12-ე] ნომერში ჩემს წინააღმდეგ მოყვანილი საყვედური უმთავრესად განგებ შეთხზულ სიყალბეებაზეა ნებული, ვითომც პარტიისათვის ახალი, ან გარემდგომი პირი ვიყო. ამ უბადრუტ მტკიცებას, სხვას რომ თავი დავანებოთ, ისევე „ბიუროს“ ოფიციალური დამოწმებით დავარღვევდი.

მოვიყვანე მისი 1930 წლის 21 მარტის სხდომის ოქმიდან შემდეგ ამონაწერს: „...ტიტე მარგველაშვილი... პარტიის პასუხისმგებელი წევრია და მისი ნაწერები... ბუნებრივად დააკისრებს პარტიას პასუხისმგებლობას...“ საქმე ეხება ბერლინის პროცესის შესახებ ბრალმუხრის გამოცემის ჩემს განზრახვას (და არა მენშევიკთა სიყალბის გამო ჩემს დემანტს), რომელიც „ბიუროს“ მიუღებლად მიიჩნა და მასწობდა, თუ ასეთი ბრალმუხრა გამოაუშვი ჩვენი წრეები აღარ იქნებოდა. ამაზედ „ბიუროს“ ჩემგან განუყოფელი მიიღო მოკლე და გატეგორიული პასუხი—რომ მე არასდროს მის წრეს არ ვეკუთვნოდი და არც მომავალში ვფიქრობდი ჩემი განზრახვის დაქვემდებარებას უკანონო ორგანიზაციისადმი. ასეთია აზრი ყველა ჩემი წერილისა თავიდანვე ბიუროს მიმართ.

შევენიშნავ მხოლოდ, რომ პარტიის პასუხისმგებლობას თან იწვევს მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელის, მისი ლიდერისა, ან საერთოდ მის ხელმძღვანელთა სიყვე და მოქმედება და ისიც არა ყოველთვის. თუ „ბიუროსავე“ და დგენილებით ჩემი სიტყვა და მოქმედება ისეთი ავტორიტეტული იყო, რომ მათგან თვით პარტიის პასუხისმგებლობა გამომდინარეობდა, სჩანს რომ მე გარეშე მდგომარეობდა, თუ ვყოფილარ და რომ ცოტა მეტი მნიშვნელობა მიეწერებოდა ჩემს სიტყვას, ვიდრე იმ წრეს რომლის ორგანო „სამშობლო“ ასეთ უმართებულო რასმეს აწვდის თავის მკითხველს.

მე შემიძლო, მაგრამ არ მოვიხმარ „ბიუროს“ წევრთა ამავე ხასიათის პირად წერილებს.

ხანს ვუსვამ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ „ბიუროს“ ეს და დგენილება გამოჩანდა მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გამოიკვია თვით „ბიუროსისათვისაც“, რომ ჩემი და მისი გზები ერთმანეთს დასცილდნენ. ერთი კი მართალია: პარტიისათვის მე ბევრზე მეტი სხვერპლი გამილია, ხოლო პარტიით სხვაზე ნაკლებ მისარგებლბია.

მეორე ფაქტი ისაა, რომ ჩემი სიტყვა და მოქმედება „ბიუროს“სა და მის საქმიანობის შესახებ არასდროს ჩემი პირადი მოსაზრებით არ განისაზღვრებოდა, არამედ ესაა უმთავრესი—მოდამ ნაკარნახევი, მუდამ შესიტყვებული იყო ბერლინის პარტიის ორგანიზაციასთან და გამოხატავდა მის მიერ მიღებულ დადგენილებებს; ასე რომ ჩემი პიროვნება, როგორც ავტო, არაფერ შუაში იყო, თუმცა მოვალე და მზად ვარ პირადადაც ვაგა პასუხი ყველა მეგობრებისათვისაც.

მეტად დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი: „სამშ.“-ს იმავე ნომერში გვ. 65 სწერდა „მრავალი ფრიადდიდი პიროვნე-

ბანი და თვით უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეები ხშირად ამა თუ იმ პარტიის მოტივ წევრად რჩებიან და მის ხელმძღვანელს ორგანოში არ შედიან. ასეთი პირები ხშირად სახელმწიფოსაც უდგანან სათავეში და სწორედ იმ პარტიათა დავალებით, რომლის მორიგ წევრათ ითვლებიან“. აქ ისეა საქმე, ვითომც „ბიუროს“ აზრით სრული ადას არაა საჭირო, რომ კაცი პარტიის მნიშვნელოვან პოსტებზე იდგეს; საკმარისია უბრალო წევრი იყოს და ის შეიძლება სახელმწიფოსაც კი მოექცეს სათავეში იმავე პარტიის დავალებით, არამც თუ პარტიულ პირ ვარამზე ხმა ამოიღოს: ჩემდამი მომართულ წერილში-კი მიკითხნებენ პოსტები არა გქონია ე. ი. მუნდირი არ გქონია და ესლა პარტიულ საქმეში რად გვერევიო. „ბიუროს“-ს ამ ორმაგი ბუნებრივი ის სათავე სიყალბე, სხვათაშორის ერთად ერთი იარაღი, რომლითაც იგი გვებრძვის. უკანასკნელი ამონაწერი ამოღებულია იმ წერილიდან, რომელიც „ბიუროს“-მ ბ-ნ სპ. კელიას მიმართა. ამ ამონაწერის აზრით სხადია: ოღონდ ბ-ნ კელიამ თავი დაანებოს თავმჯდომარეობას და უბრალო პარტიის წევრებას ხომ საკმარისია დიდ და უდიდეს ფუნქციასა დაკისრებისათვისო. ჩემდამი წერილში კი იგივე წრე უკვე უკუღმა აზრავთ. ვისაც პარტიამი მუნდირი არ აცვია. ის გაჩემდესო. მიკითხველი ენდოს „ბიუროს“ და „სამშობლოს“ იმ აზრსა და დებულებას, რომელიც მოეწონება. მე ვერც ერთს ვერ ვენდობი: ორივეს გულწრფელად აკლია, რადგან ერთი მეორის საწინააღმდეგოა, და გარდა ამისა „სამშ.“ ჩემდამი მომართული წერილი ეწინააღმდეგება თვით „ბიუროს“ ჩემდამი მომართული წერილის უმთავრეს დებულებასაც. ეს ორმაგი წინააღმდეგობა თავისთავად სხადია და ნათელი.

ფაქტია შემდეგი: ბ-ნმა ა. ასათიანმა ბიუროს სახელით მრავალჯერ მოგვმართა თხოვნით „ბიუროსში“ შესვლისა და „ბიუროსადმი“ მიკედლებისა. ეს წერილები ხელთა გვაქვს. ჩვენი პასუხი იყო, რომ ჩვენ ვიდექით პარტიის მთლიანობის ნიადაგზე და რომ ხელმძღვანელ ორგანოში, რათა მისდამი ნდობა გვეგრძნო, წინასწარ ბ-ნი სპ. კელია უნდა ყოფილიყო. მრავალი მიწერ-მოწერისა და ხშირ დაპირებათა მიუხედავად, ჩვენ ბ-ნი კელია „ბიუროს“-ში ვერ დავინახეთ ამის და სხ. მიზეზთა გამო ჩვენ, ბერლინელებმა, და კერძოდ მეც, ვაცნობდეთ ბ-ნი ასათიანს და სხ., რომ პარტიის ცენტრალ ორგანოთ „ბიუროს“ არ ვცნობდით რადგან ის ავტო არც იყო, რომ „ბიუროს“ ვუყურებდით მხოლოდ როგორც ერთ-ერთ დაჯგუფებას, ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციას, ხოლო პარტიას შინ და გარეთ წარმოადგენდა პარტიის თავმჯდომარე ბ-ნი სპ. კელია. ამის შემდეგ ჩვენ, და კერძოდ მე, „ბიუროსთან“ ყოველივე კავშირი შევწყვეტეთ, სიყალბეა, ვითომც „ბიუროს“-ს შეეწყვიტოს ეს კავშირი. ამას მოწმობს აგრეთვე კარტეგორიული პასუხი „ბიუროს“-ს წერილზე 25. 3. 30 და შემორე ამონაწერზე.

რაც შეეხება ბ-ნი ა. ასათიანის შედარებას ჩემთან, მთხოვენილი ვარ, ეს მეორედ ნუ განმეორდება, რადგან ჩემსა და ბ-ნი ასათიანს შორის დიდი და გარდუვალი სხვადასხვაობა ხასიათისა და ბუნებისა, რომელთა შედარება, შინაგანი წინააღმდეგობის გამო, შეუძლებელია და არასოდეს სამართლიან სურათს არ მოგცემთ. ბ-ნი ასათიანის მდგომარეობა პარტიამი მუდამ დამოკიდებული იყო ბ-ნი სპ. კელიას ნდობისაგან, ხოლო კონფერენციებზე მას არასდროს რაიმე გავლენა და მნიშვნელობა არა ჰქონია; უკანასკნელ კონფერენციებზე არ შექმნილა არ ვგრძნო პარტიის დიდი უკმაყოფილება და უნდობლობა და იძულებული გახდა კონფერენცია მიეტოვებინა, რაც არც ერთ წევრს არასოდეს არ შემთხვევია. ჩვენი პარტია არსდებოდა და ყალიბდებოდა განსაკუთრებით ომის დროს, წინასწარი მუშაობით 1914—1916 წწ. ამ დროს ბ-ნი ა. ასათიანი რაღაც არსად სჩანდა. ხოლო შემდეგ კი ჩრდილო კავკასიაში წავიდა კერძო სავაჭრო საქმიანობის, რომელმაც თავის ხასიათით კარგი კვალი ვერ დასტოვა მის გარშემო.

ბ-ნი ასათიანის საწინააღმდეგოთ ეს ფაქტი არა ერთჯერ იქნა წამოყენებული სწორედ იმათგან, ვინც მას დღეს გვერდში უდგანან. ესა და ზოგი სხვა ფაქტი ნათლად ამტკიცებდა უკვე მაშინ რომ ბ-ნი ა. ასათიანი არ იყო პოლიტიკური პიროვნება. პარტიას სულ ოთხი კონფერენცია ჰქონდა, აქედან თავივე დავესწარი ორს, ორივეჯერ თავმჯდომარის ანაზღაურ ვიყავი არჩეული. ეს ხდებოდა პარტიიდან. ბ-ნი სპ. კელიას პროტექცია—მე ათა მდონია ამხელ ლაბარაკი შეიძლება ბოლოს, მაგრამ თუ ეს მაინც და მაინც გხედავთ, ეს პროტექცია თუ იყო, უფრო სხვას ჰქონდა და არა მე.—პარტიის უმაღლეს ორგანოში, მთავ კომ-ში, მუდამ ერთსულეზად ვირჩევოდი, ზოგჯერ ჩემი უარის წინააღმდეგაც [მესამე კონფ-ზე].

თავმჯდომარის ამხანაგი ირჩეოდა მთავარ კომიტეტში 1919 წ. კანდიდატი იყო ბ-ნი გ. გვაზავა, როგორც უფროსი. ეს სადაოდ არ მიგვიჩნდა. უკვე კრივისან განცხადება შემოვიღო რამ ბ-ნი ა. ასათიანი გადის პარტიიდან [თუ მთ. კომიტეტიდან, კარგად არ მახსოვს] თუ ის ამ პოსტზე არჩეული არ იქნებოდა. ის იყო საკანონმდებლო არჩევნებში გადვიდოდი და ერთი დიდი კრივისი [„ვეშაპლის“] ძლივს ადვიტანეთ. ესლა კიდევ ახალი გართულება პარტიას არ არგებდა და ასეთი იძულებითი მდგომარეობის წყალობით ბ-ნი ასათიანი ორიოდ წმით ძლივს იქნა არჩეული თავმჯდომარის ამხანაგად; მაგრამ ვეშაპლის „შემოერთებით, ეს „პოსტი“ ფაქტიურადაც და ისევე უკანასკნელს უფრო რჩებოდა, ასე რომ უდავოდ ეს „პოსტი“ არც ასათიანს ჰქონია. ბ-ნი ასათიანი მუდამ „პროტექტორების“ კაცი იყო და სწორედ ამ პროტექტორების თუნდაც შემთხვევით და იძულებით გამოყენება მას ძალიან უხერხებოდა. ჯერ ამით დავკმაყოფილდეთ.

პარტიული დეკორაციო ბა: 1921 წ. მარტში ქ. ბათუმში მთავარი კომიტეტისა და ბათუმის ორგანიზაციის კომიტეტის წევრთა კრებაზე დაისვა საკითხი, თუ ვინ უნდა გასულიყო ჩვენებიდან საზღვარგარეთ.

არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც ეს საქმე უნდა მოეგვარებინა უსწოლოთა დახმარებით, კომისიაში სხვებს გარდა გახლდით: ბ-ნი ივ. ზურაბიშვილი და მე. მეორე დღეს კომისიამ მოხსენება წარადგინა, რომ ბევრს ვერაფერს გავხდით. ესლა უკვე კერძოდ მთხოვეს, რომ ვცდილიყავ და რამე ნაირად ჩვენებიდან რამდენიმე კაცის ევროპაში წასვლა მომეხერხებინა. შემდეგ ბ-ნი სპ. კელია და ა. ასათიანი ერთად ვნახე. ბ-ნმა სპ. კელიამ ეს თხოვნა კიდევ განმეორა. ა. ასათიანიც ამის თანახმა იყო მაგრამ უკვე ყველაფერი დაგვიანებული იყო: უცხოელები გახიზნული იყვნენ, გემებზე ატვლი არ იმოგებოდა და ვერაფერს გავხდით. ამის შემდეგ ვინც შეძლო და მოახერხა, ევროპაშიც ის წამოვიდა. ჩემზე ადრე სრამბოლში ჩამოსულიყვნენ და უკვე იქ დახვდნენ ბ-ნი. გაბაშვილი და ივანე ზურაბიშვილი. ორივე ესლა „ბიუროს“ წრეს ეკუთვნის და თუ დეზერტირობა ერთზე ითქმის, მაშინ არც ესენი უნდა იქმნენ დაიკუწებულნი.

ჩვენი დამოუკიდებლობის ავანიის უკანასკნელ დღეებში საზღვარგარეთ გასვლის საკითხი ყველა პოლიტიკურ წრეში იდგა. ჩვენ პარტიამი იგი ორჯერ-სამჯერ დაისვა. თავიდანვე ერთმად უარყოფილ იქნა ქორდანის მთავრობასთან ერთად წასვლა და მასთან რაიმე საერთო მუშაობის დაწყება. საბოლოო სხდომამ, იმ მომენტისათვის მაინც, ჩვენი ხალხის ევროპაში გამგზავრების საკითხი უარყოფითად გადაწყდა. ისე-კი ზოგადად გათვალისწინებული იყო საზღვარგარეთ გასვლა და მთავრობისაგან დამოუკიდებლად მუშაობის წარმოება. მაგრამ თუ ვინ და როდის უნდა წასულიყო, ამაზე პარტიას უნდა საგანგებო დადგენილება გამოეტანა.

ბ-ნი კ. მარგველაშვილის მიერ მოყვანილი შემთხვევა დაკავშირებულია მთავარ კომიტეტის იმ ერთ-ერთ სხდომასთან, სადაც მთავრობისაგან დამოუკიდებლად გასვლის საკითხი დადებითად იყო მიჩნეული და ამის პრაქტიკული მოგვარება არჩეულ კომისიას დაევალა.

მაგრამ ეს საკითხი ხელახლა იქნა დასმული ესლა უფრო ფართო შემადგენლობაში და აქ იგი საბოლოოდ უარყოფითად იქნა გადაწყრილი. ეს იყო მიწურულში. საერთო წრიალი, წვეტება და დაბნეულობა უკვე უმაღლეს წერტილს აღწევდა. ნორმალური კავშირი და ურთიერთობა ერთმანეთ შორის აღარ იყო და ამიტომ პარტიის საბოლოო დადგენილება არ გასვლის შესახებ ყველას ვერ მისწვდა.

რედაქცია.
*) იხ. ჩვენი პარტიის 1927 წ. დეკლარაცია.

მე წინადადება მქონდა ბოლშევიკთა შიკრიკისაგან ბათუმში [ეს შემდეგ, სტამბოლში ბ-ნი კ. კანდელაკისა ვუთხარი] დალიან „ხელსაყრელ პირობებში“ დაერჩენილიყავი. მაგრამ პოლიტიკურად ეს ჩემთვის მიუღებლად ჩავთვალე და წამოველი როგორც პოლიტიკური ემიგრანტი. ეს ჩემი ნაბიჯი მოვლენათა შემდეგმა განვითარებამ გაამართლა; ყველა გამოვიდა ვინც დარჩა; ჯერ ვეშაპელი, გ. გვაზავა და შემდეგ სხვები. მაშასადამე, ყველას დარჩენას დადებითი შედეგი არა ჰქონდა. ხოლო თუ პარტიის დავალება იქნებოდა, მე დავრჩებოდი კიდევ და შემდეგაც დავბრუნდებოდი. ამის შესახებ სხ. შორის ვამსწე ბ-ნი სპ. კელიას ჯერ კიდევ 1925 წ. ბ-ნი წერეთლის პირით. გარდა ამისა იმავე წელს ზაფხულში ერთი მსგავსი წინადადება მომეხატა და ვაჩნადე სრამბოლში და თანხმობაც მიიღო ჩემგან, თუ მის გეგმას პარიზელი ამხანაგები საგან დასტური ექნებოდა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი საკითხია ის, თუ ვინ როგორ დარჩა! მე ძალიან ვმიზობ, რომ ზოგიერთის დარჩენა პოლიტიკური მდგომარეობის კალბი შეფასების შედეგი არ ყოფილიყოს და თანაც დეზერტირობაზე უარესი აქტი ნამეტურ თუ ვინმე ჩვენი „მუნდირიანი“ ან „პოსტზე“ ამაყად შემდგარი, ამ დარჩენის წყალობით, ოკუპანტური ძალაუფლების დავალებებს მიიღებდა, დაიკისრებდა და ასრულებდა! ისეთ დავალებებს, რომლის ბუნება მიმართული იყო გამოხიზნული მთავრობის წინააღმდეგ, ვისი ეროვნული სახეობა, ყოველგვარის და მიუხედავად, ჩვენ უფრო ვვიანან არ გაგვიბათილებია.*] თუმცა მისი პოლიტიკური ხაზი და მოქმედება დავგმეთ და დღესაც ვგმობთ. ასე რომ, თუ ვეძიეთ, ნამდვილი დეზერტირობა შეიძლება უფრო სხვაგან მოიხსნოს.

საშინელება იყო პარტიისათვის, რომ ისიც კი შესაძლებელი გახდა რომ ერთი პირის გამოხვლა პოლიტიკური მოტივით კი არ იყო გამოწვეული, არამედ უკანონო გეშეფტის გამო, რომლის დეტალიზაცია სხვა დროისათვის გადავვიდგა. „ბიუროს“ და საზოგადო პარტიის პრესტიჟი და ზნეობრივი სახე თვით ხელმძღვანელობა განიზომება. ამიტომ მე ვერ ჩვედი ჩვენს დისიდენტებს ოინბაზობას თავი დაანებოს და თავიანთ ბამბას სხვის ბაჯალლო ოქროზე უფრო ნუ აჩხრიალენ, თორემ შეიძლება დალოლოს ვინმემ მართლაც ჩა ხედოს მათ ტამარაში.

არაფერს ვიტყვი თუ რა პოლიტიკური და ოკუპაციასთან გეშეფტური საქმიანობით დახასიათდა ზოგადად დარჩენა და რა მოტივებით მოხდა ეს და რა შედეგი გამოიღო მან პარტიისათვის; ვიტყვი მხოლოდ, რომ ზოგის საქმიანი უსილობლად ამტკიცებდა, რომ მათ ვერ დაეფასებიათ პოლიტიკური მდგომარეობა, რადგან მათი პიროვნება და მათი ბუნება არ იყო პოლიტიკური, რაც მართო მოსაზრებასა და უკუაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ ხასიათისა და ადამიანის ნატურალზე. დავსაკვნი, ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან კეთილი და თუნდაც გარეგნულად თანხმობრივი კავშირი, ზოგთა სახელს უტეხდა პარტიას ხალხის თვალში. ეს საყვედურები მე ხშირად მომიღოდა განსაკუთრებით ერთი „მუნდირიანის“ შესახებ, რომელსაც აკლია ხასიათი და პიროვნება მთლიანობა ის რაც პოლიტიკაში აუცილებელია.

ბ-ნი კელიას სასარგებლოდ ერთს ვიტყვი: მისგან არასდროს არ შემინიშნია ის დიდი შურთანობა, რომელიც სხვისგან მეტად და მიგრძენია გამსციფრებია კიდევ. ამიტომ სიყალბეა, ვითომც ბიუროს უთაწმობა ჩვენთან ბ-ნი სპ. კელიას „უხანსიათობით“ აინსნებოდეს. ყველაფერი ითქმის, ქართველს რამდენი ახირებული აზრი არ მოუხმენია, მაგრამ ასეთი დაბრი ყველა ქართველი სახ-ბის კი მართლაც იშვიათია. რაც გინდათ ისა სტყვიეთ, მაგრამ უსიამოთობას ვერაფერ უსაყვედურებს ბ-ნი სპ. კელიას; ის ერთად ერთი კაცია, რომლის ხასიათის განსაკუთრებული მიმზიდველობითი ძალა მოქმედებს ყველაზე და მოქმედება თვით „ბიუროს“ წევრებზეც და იკრება პარტიამი ფართო წრეებს არა მარტო ახალგაზრდაობათა, არამედ ძველი თაობისაც. შეუქება და მოსიყვარულობა კე-



დასთანა ქართველებში ძნელად მოიპოვება საბოთი: ერთ მრავალთაგან: ვეშაპლის შემოერთება პარტიის არ უნდა ყოფილიყო პირადად მისთვის სანუგეარო, მაგრამ პარტიისათვის მან ეს მსხვერპლი გაიღო მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი ჩვენი მთ. კომი-სა ამის წინააღმდეგი ვიყავით. მაშინ რომ სპ. კედის ერთი სიტყვით მაინც ჩვენთან (ვეშაპლის შემოერთების მოწინააღმდეგეებთან) სოლიდარობა გამოემქვანებინა, ეს საკმარისი იქნებოდა, რომ ეს შეერთება არ მომხდარიყო. ეს მანარა ჰქმნა და ეცადა „მთლიანობა“ აღედგინა, რაც მე პირადად თავიდანვე არ მწამდა.

მე გამოცდილებით ვიცი, თუ რა ძნელია ბ-ნ ასათიანთან ერთად მოშობა, და თუ ეს სპ. კედისა და აქამომდე შესძლო, ეს მისი ხასიათით აისხნება, თუმცა მისი კეთილშინდობით, მაგრამ გადაჭარბებულ დიქტორთ, მაგრამ ეს მას პლიუსად ჩაეთოლება თქვენს „საყვედურებში“ „სამშ.“-ს № 12 გვ. 62-73 დიდი საყვედურებია თითქოს, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი მაინც გაარჩევს, რომ თვით ბიუროს სიტყვითა-კი ბ-ნი სპ. კედისა მოუწვევით თავმჯდომარედ და სხ. სწორედ მათაც ვინც ეს ბიუროშია, წინადაც კი „კლდე“ში, ვეშაპლის ჯგუფში იყო, ე. ი. კედის არც ნაჩუქრად არც ნაძალადევად არასდროს ეს „პოსტი“ არ დაუჩემებია მე ვიცი, რომ როგორც თავმჯდომარემ მეორე კონფერენციაზე, და მონაწილემ ყველა კონფერენციათა, რომ კედის არა ერთხელ განუცხადებია, თავმჯდომარედ სხვა აირჩიეთო, მაგრამ კონფერენციებს და მთ. კომიტეტს მაინც სპ. კედისა სურდათ მეთაურად მეტად დამახასიათებელია შემდეგი ფაქტის: პირველ კონფერენციაზე და შემდეგაც ფართული კენჭის ყრით არჩევანი მოვიტოვეთ. ბ-ნი სპ. კედისამ ამ აზრის იყო ხოლო წინააღმდეგი გახდათ მისი დღევანდელი მოპირდაპირენი! ეს ფაქტია, ურყვე და მტკიცე. იმდენადვე ყურადსაღებია, რამდენადამ დამახასიათებელი.

ხოლო კედის უმოქმედობაზე ლაპარაკიც ზედმეტია მას შემდეგ, რაც გამოირკვა რომ მას მთელი რუსეთის ემიგრაციის საზომით ყველაზე უფრო სერიოზული და დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური საქმიანობა ჰქონდა უარესად გავლენიან პოლიტიკურ წრეებში, სადაც ვერ შესულან, ამდენი ხანია, არა მარტო ქართლისა, არამედ ვერსოვიუსული ემიგრაციის დაჯგუფებანი.

რაც შეეხება წერას უცხოეთში: ერთი მაგალითი ვიცი ბერლინიდან: ერთმა გამოჩენილმა გერმანელმა მოსურვა საქართველოზე ლექციების წაკითხვა და შემდეგ დაბეჭდა: მასალა გვთხოვა. მივეცი. ეს ბ-ნ მ. წერეთელსაც ვამცნე. გახარებული ვიყავით, რომ გერმანელი თავისით მუშაობდა ჩვენთვის. ასეთი მუშაობა უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, ვიდრე საკუთარი სახელის წარწერით რომელიმე წიგნის გამოცემა, რომლის დირსება ზოგჯერ სადაცაა თვით ჩვენს წრეებშიაც. ამგვარი ზედ გავლენა და მუშაობა აღბად ბ-ნ სპ. კედისაც ჰხვდა წილად, როგორც ეს ადვილად ეტყობა საერთოდ მის საქმიანობას, და თუ ის წინასწარ იმაზე არ ფიქრობს, თუ მას ვინ რას ჩაუწერს აქტივში, ესეც მისი პლიუსია და არა მინუსი. შემდეგი წინააღმდეგობაც აღსანიშნავია: მაგ. ე-ის მენშევიკობა ბ-ნ კედის სწორედ გადაჭარბებულსა და დამოუკიდებელ აქტივობას. ესაყვედურებს! ასათიანი კი—სრულს უმოქმედობას! თვით „ბიურო“ ახსადებს, რომ ბ-ნი სპ. კედისა უსაზღვროდ ენდა და უპირობო ბ-ნ ასათიანს და მას დავალებები მისცა, რომელიც თვითთავმჯდომარის ფუნქციისა იყო. აქედან რა მტკიცდება, თუ არა ის, რომ ბ-ნ სპ. კედის ფართოდ აძლევდა ყველას საშუალებას თვით მოქმედებისა და მუშაობისათვის. თუ ვინ რა გორ გაამართლა ეს დავალება და ნდობა, ვინ როგორ გამოიყენა და მოიხმარა, —აი ეს კითხვა საკითხია. და სწორედ აქ გამოქვანდა ბ-ნი ასათიანის სრული სიგლავა და ვერაგობა ერთის მხრით და სიმრყვე იმათი, ვინც მან თავის პატარა კომბინაციებში ჩაიტყუა, მეორეს მხრით. ბ-

ასათიანისგან ან სხვა რა იყო მოსალოდნელი? კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისა, ნათქვამია. რა ყალბია და უსუსური დისიდენტების მიერ ჩვენდამი მიმართული ბრალდება-ცილისწამება „ფართული და ქურდული თავდასხმა“. ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალ, არა? ყოველი ჩვენი გამოსვლა და მოქმედება თავთავის დროზე ეცნო ყველა პარტიულ დაჯგუფებას, მათ შორის „ბიუროსაც“ უკანასკნელად ეს მოხდა ბ-ნ მ. ამირაჯიბის მიმართით და მისდამი თხოვნი—ჩვენი დადგენილებანი გაცნო ბიუროს ყველა წევრთათვის.

ასე რომ თუ „სამშობლოს“ საყვედური საფუძვლიანია, უნდა ვიფიქროთ, ან მ. ამირაჯიბის არ შეუსრულებია ჩვენი თხოვნა მაგრამ ამ შემთხვევაში გასაკვირია, რომ წერილი უკან არ დაბრუნდა, ან შეასრულა და „სამშობლოს“ საყვედური ოქნა დაგია. მე ეს უფრო მჯერა.

ბიუროს საქმიანობა? თვითგრიტიკის უნარზე თქვენი ასეთი დამოკიდება პირდაპირ პატოლოგიას უახლოვდება. სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს თქვენი დიტირამები „ბიუროს“ მიმართ, ესე იგი თქვენი საკუთარი თავის მიმართ. ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ ბიუროს საქმიანობა ერთობ ნეგატიურია და სამარსველი მრავალთაგან, გავისვენოთ მისი საქმიანობის ერთი მხრით ბ-ნ სპ. კედის მიმართ, ხოლო მეორეს მხრით ბ-ნ მ. ამირაჯიბის მიმართ. „ბიუროს“ სწორედ მაშინ განახლოვდა ერთდროისთან მოლაპარაკება და კავშირი, როდესაც ბ-ნი მ. ამირაჯიბი, ამ ჩვენი „ერთგვნი მთავრობის“ აგენტების დაბეჭდებით, პოლონეთიდან იქმნა გამოქვეყნებული, როგორც უბრალო სისხლის სამართლის დამნაშავე, რამაც იმ ხანებში მთელი ქართველი საზოგადოება გულწრფელად აღაშფოთა.

„ბიურომ“ არც კი დაუცადა, რომ მისგან გაგზავნილი და ქორდანის აგენტების მოშობით პოლონეთიდან უკან გამოქვეყნებული წევრის პარტიში ჩამოსვლას და იგი ფაქტის წინაშე დააყენა. მ. ამირაჯიბის ამ ინსიდენტში თავს ერთად იგრეფდა პოლიტიკური და ეთიკური მომენტი. ბ-ნი ამირაჯიბი, რამდენადაც ვიცი, უკვე ბიუროს წევრი აღარ არის და ეს სხვა-ნაირად არც შეიძლება.

„ბიურო“ იგივე პარტიის კომიტეტი ასათიანის მიმართებით ჯერ დიდის ამბით გამოხვდა ქორდანისა „საერთო ფორმით და“ და მეორე მისი უკან შებრუნება ჩოქითა და ქორდანის მუხლის ამბობით, მხოლოდ იმიტომ რომ იწოლია-სიაში დარჩენილს უჯარო „ბიუროს“ სხვა გამოსავალი არ დაურჩა; მისი აშკარა მუშაობა პარტიის მთლიანობის დასარღვევად და ამის საჯარო აკტივის პირველად მისგან მოხდენა და სხვა და სხვა—აი ბალანსი მისი საქმიანობისა! ამ დაჯგუფებას შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ ერთი დადებითი მნიშვნელობა: მან საქვეყნოდ გამოიჩინა მის შემადგენელთა მთელი უარყოფითი სულ და ბუნება.

ბიურო მხოლოდ გარეგნულად და სხვების თვალის ასახვევად ლაპარაკობდა ყველასთან და განსაკუთრებით სპ. კედისთან შეერთების შესახებ, ნამდვილად-კი ამის წინააღმდეგ მუშაობდა. მის ერთი წევრისაგან, მაგრამ უეჭველად სხვათა გავლენით, დაეგზავნა ბ-ნ სპ. კედის ასა და მე მუქარის, ტერორის წერილები, რომელთა სულსკვეთება ყოველივე კრიტიკის ქვეით იდგა და პოლიტიკურ—იდეურ ფორმებს შორის სცილდება. ამ წერილებში ცხადათაა ნათქვამი, რომ ნამდვილად „ბიუროს“ ზოგ წევრს მაინც პარტიის მთლიანობა არ სურდა. რატომ? იგ სხვა საკითხია. სანამ „ჩვენს გარეშე“ დარჩენილ ძალებს პარტიაში (sie!) შემოვიყვანდეთ მანამ და სწორედ ამისათვის აუცილებელია თვით შემოვიდნენ, გამაგრება და რკინიგზური შინა დისციპლინა და ამ მუშაობისას ალბათ ბევრის გადაყენება და გარიცხვა მოგვიხდება. ამ მიმართულებით აწარმოებს მოქმედებას ცენტრ „ბიურო“ და ის დაუზოგველი იქნება ყველა მათ მიმართ, ვინც ხელს შეგვიშლის და სხ. მასასადამე სულ მსი

რე, ბიუროს ჯერ თავისი თავი უნდა მოეწყოს და შემდეგ ვის შეიყვანდა მოწყალე ბით თავის რკინიგზური შინა დისციპლინის წიაღში, ეს შემდეგ უნდა გაგვეთ. ჯერ ახალი არაფერი ვიცი. არაფერს ვიტყვი რეორრის ტონისა და მუქარის შესახებ, ნამეტანი ბავშურია.

ეს წერილი „შეუძლებელს“ ჰხდის და „ბიუროსთან“ კავშირს იმ შემთხვევაშიაც, ძალიანაც რომ გვდომოდა. ცხადია, ბიუროს წინასწარი მიზანდასახულობა და მისი რეზონ დეკორი თავიდანვე იყო პარტიის მთლიანობის დარღვევა, საკუთარი ექსკლუზივობა და ბრძოლა ბ-ნ სპ. კედის პირადად წინააღმდეგაც. არც პოლიტიკური მოტივი იყო ბიუროში შეყვანის: პარტიის 1927 წ. დეკლარაცია ფაქტია და ბიურო მას კვლავაც განიწილებდა მთლიანობის ხაზი თავისთავად შეინახებოდა; თუ უარყოფდა, ბიურო ამით აუხვევდა გვერდს პარტიის ხაზს და თავის თავს თვით იყენებდა პარტიის გარეშე. ამ შემთხვევაში მასთან კავშირი თავისთავად შეუძლებელი იქნებოდა. მოხდა უკანასკნელი: ბიურომ დასტოვა პარტიის დეკლარაციის ხაზი და თურმე უკვე ერთი წელიწადია, რაც იგი ე-ის ფორმით ფართულად თანამშრომლობს, ფართულად რადგან არც ბიუროს და არც ფორმის პრესას ამხედ კრინტი არ დაუძრავს.

აგეთი ფარდინი, ნილამ აკრული „პოლიტიკის“ კი არაფერია დასაჯერებელი. მართლაც რა მოხდა? ბიუროს მთავარი მიდევნი ბ-ნი ასათიანის დროული პაემალეტი „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“ თავის სადღეისო ნაწილში ამ ჩვენს პარტიულ დეკლარაციაზე აგებული. თუ მაშინ ე-ის მთავრობა მოლაპარაკედ და ავაზაკურად იყო დასახული, მას შემდეგ რა მოხდა ისეთი, რომ ბიურო „ფორმის“ კი შესულა და შესულა ისე, რომ საზოგადოებისათვის დღესაც არ უცნობებია ამის გამამართლებელი მიზეზები, მოტივები, ახალი გარემოებანი! ან რად და-მაღეს „შესვლის“ ამბავი იმიგრაციის ფართო წრეებს პრესაში განცხადებთ? ბიუროს ორგანო ეურნალი „სამშობლო“ გვ. 59—62, ეს ლა იცავს ქორდანის, ეს აშკარად უნდა ითქვას მას რად ებრძოდნენ გუშინ, რად იცვენ დღეს? რად გამოიკვალეს აზრი? სიტყვა, დავისაბუთონ იქნებ ჩვენს გავინაწილოთ მათი ნაბიჯი და სამდურავი აღა რაფერი გვეჩვენს ერთმანეთში: „მთავარი საკითხების საფუძვლიანი გარკვევა“ [გვ. 61] არაფერს გვეუბნება, იმის შესახებ თუ რა საკითხებია ეს საკითხები ან როგორ არიან გარკვეულნი. მაგრამ შემდეგი ფრაზა ბევრს რასმე გვიხსნის: „ესლა მუშაობა ფორმის უკეთესად იწარმოებს ვიდრე მაშინ, როცა ბ-ნი სპ. კედისა მონაწილეობდა“. მასასადამე, ეს შეთანხმება დაპირისპირებულია სპ. კედის წინააღმდეგ და ახსნა ერთად ერთი ახალი მოტივი და ახალი იდეა „შეერთებისა“! მანსოვს, „ბიუროს“ მთავარ მიდევანს ბ. ასათიანს აინტერესებდა ზათუმში, რა ფინანსიურ, განწყობილებაში იქნებოდნენ ჩვენები ე-ისთან თუ მაშინვე გამოვიდოდნენ. საქართველოდან ალბათ, ეს საკითხი ესლამ განიხილებოდა და საინტერესოა ვიცოდეთ, რა რიგად გადაწყდა ფინანსების საკითხიც.

ეს აბრუნდა „ბიუროსაგან“ მეტად დაუჯერებელი იყო ბევრისათვის: მე-კი თავშივე ამას მოველოდი და კიდევ ვუთხარი ზოგიერთ ბერლინელ მეგობარს [მაგ. ბ. მ. წერეთელს, გ. კერესელიძეს და სხვას]: ასათიანი უთუთო ე-ის დაუკავშირდება ჩვენს წინააღმდეგ მეთქი. მაგრამ რა გორ უნდა მისაყვედურის ვინმემ ის რომ მე ეს ვოლტფასი, ეს აბრუნდი არ გავიზიარებ? „ბიუროს“ ორ წევრს სხვა და სხვა დროს ბერლინში ჩამოსულებს ამ საგანზე ველაპარაკე: ერთმა ბრძანა ჯერ კიდევ 1929 წ. ტიტე, ე. ე-ის მთავრობა აღარა ჩვენი მთავრობა, ეს იცოდეთ ამიერიდანო. მე ასე შორს არ წავსულავი და დავით ხვისას გერმანიის სასამართლოში განვაცხადე, რომ ჩვენს შინაურობაში ჩამოვარდნილი დემიგრანტული უთანხმოება გაქრება, როგორც კი სერიოზულად დადგება განთავისუფლების მომენტი მეთქი; რა შთაბეჭდილება მოახდინა ამან, დეე, ამხვე სხვამ ილაპარაკ

კოს; დაბრმავებულთ მე ვერაფერს ვეზღებ. ბიუროს მეორეწევრთან ბაასში 1931 წ. გამართ კვა, რომ მისთვის ქორდანის ფორმის შესვლა—მკვდართან საფლავში ჩაწოლას უდრიდა.

ორივე საპარტია წევრია ბიუროსი. ესლა ამას დაუპირისპირეთ ის ცნობა, რომ „ბიუროს“ თურმე მაინც ჩაწოლილა მკვდართან საფლავში და იქ თურმე მთელი ერთი წელიწადი მალულად გაუტარებია! ხოლო „ბიუროს“ ის წევრი, რომელიც მე მკაცრად მარწმუნებდა ე-ის მთავრობა არაა ჩვენი, ესლა ის ე-ისთვის თურმე ცხენსა-კი ეძებს თბილისში „ჩასატრინინებლად“. მიბრძანეთ, რა მოხდა ამ ერთ წელიწადში ასეთი რევოლუციური ცვლილება რომ ბიუროს წევრის პოლიტიკური გეზის მხრივ მთელი 180 გრადუსით შეტრიალდნენ? ნურვის გაუკვირდება თუ აქ ნდობის საკითხს დავსვამ. მიბრძანეთ, როგორ უნდა განვსაზღვრო ჩემი ნდობა აღამიანი სადმი, რომელიც 1921—1923 წწ. ერთ ხაზზე; 1924—1929 წ. მეორე ხაზზე, და 1930—1932 წწ. მესამე ხაზზე და ეს ხაზები მუდამ საიდუმლოების თილისმით იცვლებოდა. აქ პოლიტიკა თავდება, და ძიება ჩემი საქმე არაა. საკუთარ გამოცდილებაზე არ ვილაპარაკებ, სუბიექტივობაში ჩამოვთქმევა. მაგრამ ბ-ნ ასათიანს არ უქმნის ნდობის სახელს მისი საქმიანობა ბ-ნ სპ. კედისადმი. ეს აშკარაა და საყოველთაო აზრი მთელს ემიგრაციაში. ამასაც თავი გავანებოთ. როგორც მოგახსენებ ბიუროს დავალებით იყო ბ-ნი მ. ამირაჯიბი ვარშავაში. მისი ინციდენტი ე-ისთან იქ და ბიუროსავე ფორმის მესვლა, ეს ფაქტი უკვე თავისთავად საკმარისია, რომ დაისვას ნდობის საკითხი, რადან ფართო საზოგადოებაზე ეს სწორედ მეტად მძიმე შთაბეჭდილებას მუხანათურად ზურგში ხანჯლის ჩასემისას, რაღაც პირადი ინტერესით. ამის შემდგომ ვინ გამაწილებს თუ მე ბიუროსთან ვაკავშირებთ თავიდანვე მოვირიდე და ეს ჩემი მოქმედება მართებულად დავსახეებ?

ეს შურისა და ღვარძლის პოლიტიკა, ეს დაუსრულებელი ინტრიგა შიგნით, თჯახის ვიწრო წრეში, მეგობრის, მახლობელი თანამშრომლის თუ პარტიის ლიდერის მიმართ, თავიდანვე ახასიათებდა იმ პირთ, რომელნიც დღეს ამ „ბიუროს“ში შედიან. ასეთმა აღამიანებმა რომ ერთმანეთი არ დასუბონ, ამისათვის ყოველთვის ერთი მსხვერპლია საჭირო.

დღეს ეს ხალხი თავიანთ გულის სიბოროტეს, საერთო საქმის საზარალოდ, პარტიის დასასუსტებლად და —ნ. ქორდანისა და მისი კლივის განსახარად, —ნ. სპ. კედისაზე ამხედრებს. გასაკვირი არაფერია. იგი თავის ტრადიციას აგრძელებს. ჯოჯოხეთს ერთი მოგუზალი აკლდა და ისიც მიემატა რომ იტყვიან, სწორედ ასეა. ვეშაპლის ძველს ჯგუფს, რომელიც ამ „ბიუროს“ შუაგულს შეადგენს, —ნი ასათიანი მიემატა და აწ თქვენ ნახავთ ძველი ოინის ახალ-ახალ გამოცემას!

წინადა პარტიის გაპომა ამ ჯგუფმა ვეშაპლის მეთაურობით მოახდინა. ესლა ამასვე ასათიანის მეთაურობით ახდენს.

„ბიურო“ უკვე საკუთარი ძალისხმევით შეეცადა თავის პროგრამის განხორციელებას. მაგრამ ვერაფერს გახდა. მისთვის მალე ცხადი შეიქმნა, რომ დამოუკიდებელი არსებობა და მოქმედება მას არ შეეძლო და რომ ამ პირობებში იგი ვერც პირველ მტრობას მთავრებდა და ვერც პარტიის მორალურ-პოლიტიკური ტრადიციის განიავებას. მაგრამ იმის მაგივრად რომ ამ შემთვევაში კეთილშობილური კაპიტულაციის გზას დასდგომოდა და მონაწილეული იხვე პარტიას დაუბრუნებოდა, იგი ფეხქვეშ გაუგორდა ქორდანის დაბმის კლიკას, სწორედ იმ ხალხს, რომლის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გუშინ დაუბრუნებ ბრძოლას აწარმოებდა.

ამ სათავილო საქციელის საფასურში „ბიურომ“ ჯერ-ჯერობით „დამოუკიდებელი“ „პოლიტიკური“ არსებობა შეინარჩუნა და თან ჩვენი პარტიისა და მის თავმჯდომარის წინააღმდეგ ჩვენი ძველი მტერი მოკავშირე გაიხიდა. თავის მხრივ ქორდანისა, საკუთარ პარტიაში უკვე დამარცხებულმა, ის ჩვენი პარტიის დისიდენტები მხარში სიამოვნებით ამოიყენა—დახეთ, რა ავტორიტეტი მაქვს: მარტო ჩემი პარტია კი არა სხვა პარტიებიც ჩვენთან არიან!

ორივე მხარე თვალთმაქცობს, რომ ვილამ მესამე მოატყუნონ. ქვეყანა ჩალით გადახურული ნუ გგონიოთ ბატონებო! დაინტერესებული ქართველი საზოგადოება ამ მოვლენებში კარგად ერკვევა და ამგვარ ამორალურ მანქანაციებს თავის მკაცრ მსჯავრს დასდებს.

თორემ ვაცხოვრებთ და ვნახავთ! ტიტე მარგველაშვილი.